სპორტიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 17 იანვარი 2005 №7 (2330) ფასი 50 თეთრი



მეფემ ბურთი გააგორა, ჩელსიმ პრემიერლიგა

ბებერმა ძოლამ ბებერ ქალბატონს...

ინგლისში ლიდერს კიდევ უფრო ჩამორჩნენ, იტალიაში თავად ლიდერმა შეანელა სისწრაფე, ესპანეთში კი ლიდერი ისევ ისე მირბის და ისევ ისე მისდევენ. ამ უქმეების ევროპული ტური მოკლედ ასე შეგვიძლია დავახასიათოთ, ხოლო უფრო ვრცლად ასე ვთქვათ:

„ბოლტონს“ „არსენალისთვის“ ლამის უხსოვარი დროიდან ვერ მოეგო და ახლა მოუგო. „მეთოფეთა“ წაუგებელ სერიაზე იმდენ ხანს ვლაპარაკობდით, რომ წაგებას დაეჩვივნენ და „ჩელსის“ დაწევას ვინღა ჩივის, იქით დაენია „მანჩესტერი“.

სერ ალექსის სამწყსომ „ენფილდზე“ სძლია „ლივერპულს“, რომელსაც სადებიუტო მატჩში ვერაფრით წაადგა ფერნანდო მორიენტესი. „ჩელსიმ“ კი, რა თქმა უნდა, ისევ გაიმარჯვა.

ყოფილმა ჩელსელმა, გვარიანად მობერებულმა, მაგრამ მაინც უბერებელმა ჯანფრანკო ძოლამ კი ბოლო წუთებზე გაუტანა სერია A-ს ლიდერ „იუვენტუსს“, თანაც ეს თავით მოახერხა, რაც აღნიშვნის ღირსია ძოლას ტანმორჩილობის გამო. „იუვეს“ წაფორხილებით კი „მილანმა“ ისარგებლა და „უდინეზე“ დასცა, თუმცაღა თავიდან აგებდა.

აგებდა „რეალიც“ და ბოლოს ისიც გამარჯვებული დარჩა. ოღონდ ეგაა, რომ მადრიდელთა გამარჯვებას „მილანისაზე“ ნაკლები ფასი ჰქონდა, რაკი „ბარსელონამაც“ მოიგო და მდევარი არ მიიახლოვა. „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამართულ თამაშს კი ხალისი შემატა პელეს გამოჩენამ და ბურთზე სიმბოლურად ფეხის წაკვრამ. მაგრამ ამ უქმეების ესპანური ტური მაინც ვერ გამოდგა ხალისიანი, რადგან პამპლონაში თამაშის დაწყებამდე მცირე ხნით ადრე ვალენსიელ მცველს მარკუ კანეირას შვილის სიკვდილის ამბავი შეატყობინეს.

ზვიად სტურუამ ფულს ნაკრებს და ლოკომოტივს არჩია



რა უნდა ყველას? ფედერერის ქუსლი

ავსტრალიაში მზე შუბისტარზე ხომ დგას და, სულ მალე [illegible] უფრო ჩამოცხება — დღეიდან მელბურნში სეზონის პირველ[illegible] სლემტურნირი, ავსტრალიის ღია პირველობა იწყება. კაცი და ქალი, დიდი და პატარა, ყველა იქაა, თუმცა არა, ქალები ორ ჩოგანმარჯვე ბელგიელს, შარშანდელ ფინალისტებს — ჟუსტინ ენენ-არდენსა და კიმ კლაისტერსს მოისაკლისებენ. კაცთა ამქარში კი ყველა ერთ ჭკუაზეა და ყველა ერთს ეცდება: საჩოგნეთის აქილევსის როჯერ ფედერერისთვის მოწყვლადი ქუსლის პოვნას.

Melbourne

REUTERS ფოტოებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისმა გზა გაიმრუდა

ადამიამ ნეფთჩის სამი გოლი დაუხატა

რევაზ გეწაძის (№19) ორი ტურის მონაგარი: გოლი და წითელი ბარათი

გიორგი ადამია „ნეფთჩიში“ კარგ ფეხზე მივიდა

კარგად დაწყებული საქმე „თბილისმა“ ცუდად გააგრძელა და, ვინძლო, „თანამეგობრობის თასის“ ჯგუფში ჩარჩეს. არადა, პირველი მატჩის შემდეგ თბილისელები მეოთხედფინალში გასვლის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ... გუშინ ლუის ცაკარიასის ბიჭებმა ლიტვურ „კაუნასთან“ წაიფორხილეს

ყველაფერი კი ასე დაიწყო — ტურნირის პირველ დღეს თბილისი ტაშკენტის „ფახთაქორს“ შეხვდა და 44-ე წუთზე რევაზ გეწაძის მიერ გატანილით 1:0 მოიგო. ჩვენებურები განსაკუთრებით მეორე ტაიმში გამოირჩნენ — მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმც მეტის გატანა ვეღარ მოახერხეს.

მოკლედ, „თბილისმა“ 1:0 მოიგო და გუშინდელ მატჩსაც იმედიანად შეხვდა. თან „კაუნასს“ ქართველების დარად სამი ქულა ჰქონდა, რადგან პირველ ტურში ყირგიზულ „დორდოი-დინამოს“ — 2:1 აჯობა.

მოსკოვში გამგზავრებამდეც ითქვა, „თბილისი“ დიდი დატვირთვებით ვარჯიშობს და ჯერ ფიზიკურად მოუმზადებელიაო. ალბათ, სწორედ ამ ფაქტორმა დააღალატა ჩვენებურები „კაუნასთან“ ჯახში.

პირველი ნახევრის მერე მეტოქემ ტემპს უმატა, თუმც აშკარა უპირატესობა ჰქონდაო, მაინც ვერ ვიტყვით.

გადამწყვეტი კი 75-ე წუთი გამოდგა, როცა ლიტველმა არტურას რიმკიავიჩიუსმა მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. „თბილისი“ გათანაბრებას კი ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ნერვიულობამაც იმატა და ჯგუფიდან გასასვლელი გზაც გაიმრუდა. ისიც ვთქვათ, რომ მსაჯმა მატჩის მიწურულს გოჩა ხოჯავას და რევაზ გეწაძეს აუფრიალა წითელი ბარათი.

„კაუნასს“ ბოლო ტურში „ფახთაქორთან“ ფრეც ჰყოფნის და ძნელი წარმოსადგენია, სხვაგვარად მოხდეს.

„რუსები კი ჯერაც ვერ გაერკვნენ ვითარებაში და „თბილისს“ ხან „ვიტ ჯორჯიად“, ხანაც „დინამოდ“ მოიხსენიებენ.

სხვა „ქართული“ კლუბებიდან კი განსაკუთრებით ბაქოს „ნეფთჩის“ გამოვარჩევთ. უფრო ზუსტად, აზერბაიჯანელთა ქართველ ახალწვეულ გიორგი ადამიაზე გვინდა ვთქვათ — ადამიამ ორ მატჩში სამი გოლი გაიტანა, ტურნირის საუკეთესო ბომბარდირია და, შეიძლება ითქვას, „ნეფთჩი“ მეოთხედფინალში მარტომ გაიყვანა. ბაქოელებმა პირველ ტურში თარხნიშვილ-ბურნაძე-აფციაურის „შერიფს“ სწორედ ადამიას ერთადერთი გოლით მოუგეს, გუშინ კი გიორგიმ თურქმენულ „ნებიტჩისთან“ ორჯერ იყოჩაღა — ბაქოელებმა 4:1 მოიგეს, თუმც მეოთხედფინალში ურთულესი ჯახი ელით, რადგან C ჯგუფის ფავორიტი რიგის „სკონტოა“. ლევან კორღალიძის და ზურაბ მენთეშაშვილის გუნდმა პირველ ტურში ტაჯიკეთის ჩემპიონი „რეგარ-თადაზი“ 4:1 გაანადგურა და ალბათ ბოლო ტურშიც არ შეექმნება პრობლემები — „სკონტოს“ სომხურ „პიუნიკთან“ მოგება სჭირდება.

ტურნირის მთავარი ფავორიტები, მოსკოვის „ლოკომოტივი“ და კიევის „დინამო“ კი, გეცოდინებათ, ნახევარფინალიდან ჩაერთვებიან გათამაშებაში.

ძახა შალამბერიძე

A ჯგუფი

პირველი ტური

რუსეთი 0:0 ლევადია

დინამო 2:1 ყაირათი

0:1 დიკუ (54), 1:1 ვოლოდენკოვი (75), 2:1 არაუჯო (86)

მეორე ტური

რუსეთი 1:3 ყაირათი

0:1 აბდულინი (27), 1:1 ბოევი (30), 1:2 აკსენოვი (38), 1:3 ნურდუალეტოვი (85)

დინამო 0:1 ლევადია

0:1 დოვიდენასი (8)

ლევადია	2	1	1	0	1:0	4
ყაირათი	2	1	0	1	4:3	3
დინამო (მნ)	2	1	0	1	2:2	3
რუსეთი (ახ.)	2	0	1	1	1:3	1

B ჯგუფი

პირველი ტური

თბილისი 1:0 ფახთაქორი

1:0 გეწაძე (44)

დორდოი 1:2 კაუნასი

1:0 სადიკოვი (55ბ), 1:1 სადიკოვი (65სკ.), 1:2 ბენიუშისი (72)

მეორე ტური

კაუნასი 1:0 თბილისი

1:0 რიმკიავიჩიუსი (75)

გაძევება: ხოჯავა (77), გეწაძე (88)

ფახთაქორი 1:0 დორდოი

1:0 ისმაილოვი (50)

კაუნასი	2	2	0	0	3:1	6
თბილისი	2	1	0	1	1:1	3
ფახთაქორი	2	1	0	1	1:1	3
დორდოი	2	0	0	2	1:3	0

C ჯგუფი

პირველი ტური

სკონტო 4:1 რეგარ-თადაზი

1:0, 2:0 მიხოლაბსი (9, 10), 2:1 ხამიდოვი (17), 3:1 ვიშნიაკოვსი (60), 4:1 ბუიტკუსი (83)

მეორე ტური

პიუნიკი 5:1 რეგარ-თადაზი

1:0, 2:0 ალექსანიანი (22, 32), 2:1 ჩორიევი (52), 3:1 პეტროსიანი (57), 4:1 დიავარა (58), 5:1 ტადევოსიანი (86)

პიუნიკი	1	1	0	0	5:1	3
სკონტო	1	1	0	0	4:1	3
რეგარ-თადაზი	2	0	0	2	2:9	0

D ჯგუფი

პირველი ტური

შერიფი 0:1 ნეფთჩი

0:1 ადამია (59)

მეორე ტური

ნეფთჩი 4:1 ნებიტჩი

1:0 ადამია (35), 2:0 ტაგიზადე (42), 2:1 ურაზოვი (47), 3:1 ადამია (56), 4:1 ნიკიფმა (89)

ნეფთჩი	2	2	0	0	5:1	6
შერიფი	1	0	0	1	0:1	0
ნებიტჩი	1	0	0	1	1:4	0

ჯერ შეგამოწმებ. მერე გელაპარაკები

ბურდული ალანიასთან ანთალიაში ჩავიდა

თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი ლადო ბურდული გუშინ ანთალიას გაემგზავრა ვლადიკავკაზის „ალანიას“ ხელმძღვანელობასთან შესახვედრად.

ალბათ იცით, რომ ოსური კლუბი ბურდულის გადაბირებას ცდილობს და ფეხბურთელს სწორედ ამისთვის შერერბაზე ჩასვლა სთხოვა.

ჯერჯერობით მხოლოდ ის ვიცით, რომ სამშაბათს ლადო ბურდული „ალანიაში“ სამედიცინო შემოწმებას გაივლის, ოთხშაბათს ოსების უფროსობას თავად შეხვდება, ხუთშაბათს ან პარასკევს კი „დინამოს“ მმართველ დირექტორ დავით პეტრიაშვილთან ერთად. ისიც გავიგეთ, „დინამო“ და „ალანია“ ბურდულის ტრანსფერთან დაკავშირებით ფაქტობრივად შეთანხმებულნი არიან, საქმეზე ბეჭდის დასმა კი მხოლოდ ფეხბურთელისა და კლუბის შეთანხმებაზე ყოფილა დამოკიდებული.

კულუარებში ისიც თქვეს, თუ ლადო ბურდულს ოსებისგან შეთავაზებული პირობების ასი პროცენტით დაკმაყოფილების გარანტია არ ექნება, კონტრაქტი არ გაფორმდება, „ალანიას“ დაპირებით ბევრი ფეხბურთელი ჰყავს გადაგდებულიო.

ძობა ინასარიძე



ბადრი ძმელაშვილის ფოტო

ახალია ციურიხიანად

თბილისის „დინამოდან“ შვეიცარიულ „ციურიხში“ წასულმა ლადო ახალაიამ გუშინ პირველად მოირგო ახალი გუნდის მაისურა. „ციურიხი“ ამხანაგურ მატჩში გერმანულ „კარლსრუეს“ შეხვდა და 5:1 მიანგრია. ახალაიამ ძირითადში ითამაშა და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილებაც დაუტოვებია მწვრთნელებზე — ჩვენებური თურმე მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი ყოფილა.

შევიტყვეთ ისიც, რომ ახალაია და „ციურიხი“ პირობებზე თითქმის შეთანხმდნენ და კონტრაქტიც დღეიდან გაფორმდება. შვეიცარიელები ჩვენებურს ერთწლიან ხელშეკრულებას სთავაზობენ.

ახალი კონტრაქტი

მალე ალენ ჟირესისთვის გადამწყვეტი დღეები ჩამოდგება — მარტში თამაშებია.

ფეხბურთის ფედერაციაში უკვე არსებობს იდეა, რომ ჩვენს ფრანგ მწვრთნელს კონტრაქტი გაუგრძელონ, ახალი კონტრაქტი შესთავაზონ უკვე მეორე შესარჩევი ციკლის ბოლომდე.

ეს კარგი იდეა ჩანს.

ჟირესის ხელში ნაკრები მოკლეა, მაგრამ მტკიცე ნაბიჯებით მიდის წინ. თამაშის ხარისხს ვგულისხმობ და ოთხი მატჩის თავზე არც ტექნიკური შედეგია იმგვარი, სხვა დროს რომ ეტრაბახა ჩვენს ნაკრებს შესარჩევი ტურნირის პირველი ოთხი თამაშის თავზე: ერთი წაგება, ერთი მოგება, ორი ფრე და თანაც, ამ შედეგების უკან ნამდვილი ფეხბურთი და წინსვლის მცდელობა დგას. თორემ ისე, იერით, დიდი არაფერია საკუთრივ ორი ფრე და თითო მოგება-წაგება.

ანუ, კარგი იდეა ჩანს. მით უმეტეს, რომ ჟირესს ეტყობა, იმგვარი კაცია, საქმეს რომ მაინცდამაინც ელვისებურად არა, მაგრამ შთამბეჭდავად კი ატყობენ ხელს. ამ შემოდგომაზე ის საერთოდაც გზადაგზა ეცნობოდა ქართულ ფეხბურთს. მაგალითად მალხაზ ასათიანიც კმარა, რომელიც, უკვე ბევრის აღმოჩენილი, ჟირესმა ხელახლა აღმოაჩინა, თორემ ისიც გვახსოვს, თავიდან რომ ამბობდა, ვიცი, რომ კარგი მცველიაო. აღმოაჩინა და გაუმარჯოს ღმერთმა. ოღონდაც, დროის ამბავია. ყველაფერს დრო უნდა. ახალი კონტრაქტის ამბავი, ჩემი მოკლე ჭკუით, სენსაციური სულაც არ არის, ოღონდ, მაინც მგონია, რომ მის გაფორმება-არგაფორმებაზე ლაპარაკი მაინც მარტის ბოლოს უნდა დაიწყოს.

სწორედ მარტის თვე არის გადამწყვეტი ჩვენი ნაკრებისთვის: თურქებთან და ბერძნებთან თამაშების შემდეგ უკვე ყველაფერი გამოიკვეთება და ფედერაციასაც და ჟირესსაც მეტი ეჭნებათ ერთმანეთისთვის სათქმელ-შესათავაზებელი. „მეტი“, რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილია. ნაკლები ცუდი ამბების შემთხვევაშია მოსალოდნელი.

მოკლედ, ეს ორი დიდი ტესტია გასავლელი და (ექვს ქულაზე არ ვამბობ, საერთოდ, ქულებზე არ ვლაპარაკობ) თუ ღირსეულად გავიარეთ, თუ წინსვლა გაგრძელდა, თქვენ იხარეთ, უნდა გავუგრძელოთ, აბა რა.

ახლა ჟირესი ბევრს ფიქრობს ამ თამაშებზე. მისი საქმეც ეს არის. ძალიან საინტერესო და შფოთიანი საქმეა. მოლოდინიც ასეთია, რა თქმა უნდა.

ტოტალიზატორთა ქვედითობა
დღეს ბუქმეიკერები ჩაის სახლში მივლენ

საქართველოს ბუქმეიკერთა და ტოტალიზატორთა ასოციაციის ინიციატივით კინოთეატრ „რუსთაველში“ ტოტალიზატორთა მესვეურები შეიკრიბნენ. თავყრილობის გამართვა ახალმა საგადასახადო კოდექსმა გამოიწვია, რის მიხედვითაც, ფაქტობრივად, შეუძლებელი ხდება საქართველოში ტოტალიზატორების ფუნქციონირება



თუ საგადასახადო კოდექსში ცვლილებებს არ შეიტანენ, ტოტალიზატორები ალბათ დაცარიელდება

ადრეც გაუწყეთ, თუ კონკრეტულად რამ გამოიწვია ტოტალიზატორთა მეპატრონეების შეშფოთება — სათამაშო ბიზნესს ახალი საგადასახადო კოდექსით დაემატა დამატებითი ღირებულების გადასახადი და ბეგარა ტოტალიზატორმა შემოსული თანხიდან უნდა გადაიხადოს. გარდა ამისა, ახალი კოდექსი ტოტალიზატორს ავალდებულებს, დაბეგროს კერძო პირი ანუ მოგებული მეფსონე და ამ მოგებული მეფსონის პირადობის მოწმობის მონაცემებიც მიაწოდოს საგადასახადო ინსპექციას, თანაც მოგებული მეფსონე 12 პროცენტით უნდა დაიბეგროს მოგებული კი არა, საერთო თანხიდან. მაგალითად, თუ მეფსონემ დადო 100 ლარი და კოეფიციენტზე გამრავლების შედეგად, ვთქვათ, უნდა აიღოს 110 ლარი, ბეგარის გადახდის შედეგად მას ხელში 98 ლარი შერჩება, ანუ მოგებული მეფსონე წაგებული აღმოჩნდება.

ახლა რაც შეეხება თავყრილობას კინოთეატრ „რუსთაველში“. დარბაზში ორასამდე უკმაყოფილო კაცი მივიდა და ემოციური გამოსვლები ერთმანეთს ცვლიდა. ლაიტმოტივი ასეთი იყო — ეს ბიზნესი ჩვენ ავაწყვეთ, სახელმწიფო არაფერში დაგვხმარებია, ახლა კი სახელმწიფოს ჩვენთვის და ჩვენს ოფისებში დასაქმებული ხალხისთვის ლუკმა-პურის წართმევა სურს.

...ერთ-ერთი სახელმწიფო მაღალჩინოსანი ტელევიზიით გამოვიდა და ჩვენს პრობლემაზე თქვა, ესღა გვაკლდაო. ნუთუ ჩვენ სხვაზე ნაკლები მოქალაქეები ვართ? ჩვენ კანონიერი ბიზნესი გვაქვს. შესაძლოა, ფინანსთა და სახელმწიფო მინისტრები არასწორად არიან ინფორმირებული რეალური ვითარების შესახებ.

...ტოტალიზატორი და საბუქმეიკერო ოფისი სხვადასხვა რამეა. ტოტალიზატორი ყოველთვის მოგებულია, ხოლო ბუქმეიკერი ხან იგებს და ხან აგებს. ჩვენთან ტოტალიზატორი სწორედ ბუქმეიკერულ საქმიანობას ეწევა და, შესაბამისად, ყოველთვის მოგებული ვერ იქნება. უცხოეთში, მაგალითად, ბრიტანეთში და რუსეთში, ბუქმეიკერები დამატებითი ღირებულების გადასახადს არ იხდიან, რადგან ეს შეუსაბამობასთან მიდის.

...საქართველოში ტოტალიზატორებს ყოველწლიურად 8-9 მილიონი ლარი შეაქვთ სახელმწიფოს ბიუჯეტში და თუ ახალი საგადასახადო კოდექსი არ შეიცვლება, სახელმწიფო ამ ფულს დაკარგავს. გარდა ამისა, ხალხი მაინც გაგრძელებს თამაშს, გახშირდება ხელზე ნიძლავი, რაც კრიმინალურ ელემენტებს მოაძლიერებს. ზოგიც საკრედიტო ბარათს აიღებს და ინტერნეტით დადებს ფსონებს, რასაც ქვეყნიდან ფულის გადინება მოჰყვება და ბეგარასაც არავინ გადაიხდის.

...ახალი საგადასახადო კოდექსი კორუფციის რისკს ზრდის, მაგრამ არავის უნდა გარიგებაზე წასვლა სახელმწიფო მოხელეებთან და არც ციხეში ჩაჯდომა. ჩვენ უკვე გავწიეთ რისკი, როცა ეს ბიზნესი წამოვიწყეთ.

...სიზუსტე უნდა შევიტანოთ ტერმინოლოგიაში. მკაფიოდ გავიგოთ, რა არის საბრუნავი თანხა და რა არის შემოსავალი. რასაც მთავრობა გვთავაზობს, ასეთი დაბეგვრა არსად არ არსებობს.

...საქართველოში სამასამდე ტოტალიზატორია და თითოეულში რამდენიმე ათეული კაცია დასაქმებული. ჩვენს მთავრობას უმუშევრად დარჩენილი ხალხის ბედი რომ არ ადარდებს, ადრეც გამოჩნდა და ეს ერთხელაც გამოაშკარავდა ვიღაც ერთს ხომ არ უმზადებენ სათამაშო ბიზნესს? ერთი სიტყვით, კატეგორიულები უნდა ვიყოთ.

...ტოტალიზატორები საქართველოში თეთრად მუშაობენ, ჩვენ არავისთან არ ვართ გარიგებულები...

აი, ასეთი გამოსვლები იყო თავყრილობაზე. კრების დამთავრების შემდეგ საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებში გასაგზავნ დოკუმენტს შეიმუშავებს. ტოტალიზატორების მესვეურთა მორიგი შეკრება კი დღეს, 14 საათზე გაიმართება „ჩაის სახლში“.

• დავით თავართქილაძე

შოტლანდიური პრემიერლიგის ბოლო ტურში „რეინჯერსმა“ შინ „დანფერმლაინს“ 3:0 მოუგო და არც ერთ ჩვენებურს არ უთამაშია — შოთა არველაძეს წვივის კუნთი ისე აწუხებს, გუნდთან ერთად ჯერ ვერ ვარჯიშობს, ხოლო ზურაბ ხიზანიშვილი საღსალამათია და „დანფერმლაინთან“ ოდენ სათადარიგო იყო. ხიზანიშვილს სწორედ მისი უთამაშებლობის შესახებ ვესაუბრეთ

არ მოაწერ ხელს, არ ითამაშებ
ასეთი რეინჯერსში უკვე მოხდა



— არ ვიცი, რატომ არ მათამაშა მწვრთნელმა „დანფერმლაინთან“, ჩემთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს.

— ამ რამდენიმე ხნის წინ „რეინჯერსში“ ასეთი ამბავი მოხდა — კლუბმა მაიკლ ბოლს კონტრაქტის გაგრძელება შესთავაზა, ბოლმა უარი თქვა და მას შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ფაქტობრივად არ თამაშობს, ხოლო ალექს მაკლიშმა ბოლზე თქვა, ფორმაში არ არისო. „რეინჯერსი“ შენც გთავაზობს კონტრაქტის გაგრძელებას და შენი „დანფერმლაინთან“ უთამაშებლობა ამას ხომ არ უკავშირდება?

— გამორიცხული არაფერია, რაც შეეხება ბოლს, ის საკმაოდ კარგი ფეხბურთელია და თანაგუნდელებისთვის არასდროს უთქვამს, ფორმაში არ ვარო, ბოლს საკმაოდ მაღალ დონეზე შეუძლია თამაში, მაგრამ მისი და კლუბის საქმეში მე ვერ ჩავერევი.

— გასაგებია, მაგრამ ფაქტია, რომ „რეინჯერსთან“ კონტრაქტის გაგრძელებაზე ფეხს ითრევ...

— ჯერაც ვფიქრობ და გადაწყვეტილების უცბად მიღება არ მინდა. ჩემი აგენტი ივან ბენეში დღე-დღეზე ჩამოვა გლაზგოში და ალბათ გადაწყვეტილებასაც დავაჩქარებ.

— ბენეშისგან ახალ გუნდსაც ელი?

— როგორც უნდა იყოს, სკამზე ჯდომა არც „რეინჯერსში“ მინდა და არც სხვაგან.

დავით თავართქილაძე

კობიაშვილი მარჯვენას ენდო და აცდა



„აუფშალკეზე“ 42 000 მაყურებელი მივიდა და ნახა, თუ როგორ მოუგო სტამბოლის „გალათასარაიმ“ გელზენკირხენის „შალკეს“ კომერციულ-ამხანაგურ მატჩში — თურქებმა ნეჯათი ათეშის კინკილა გოლით მოუგეს ვესტფალიელ „ხუმარებს“.

ბუნდესლიგა 22 იანვარს განახლდება და ეს მატჩი ლევან კობიაშვილის „შალკესთვის“ თავისებური რეპეტიცია გახლდათ. „შალკეს“ სამი ფეხბურთელი აკლდა — მარსელო ბორდონი და ლინკოლნი ადრევე დაშავდნენ, ხოლო მლადენ კრსტაიჩს ზედ ამ მატჩის წინ შეეყარა გრიპი.

რალფ რანგნიკმა გარისკა და გუნდი, ფაქტობრივად, ოთხი შემტევით ათამაშა — ჯერალდ ასამოა, ებე სანდი, მაიკ ჰანკე და აილტონი. პირველი საგოლე შანსიც „შალკესი“ იყო — თურქთა კოლუმბიელმა მეკარე ფარიდ მონდრაგონმა სანდს აი ძალრიდან დარტყმული ბურთი აუღო, დამაცდენზე კი ასამომ ააცილა.

და „გალათასარაის“ პასუხი — ჰაკან შუქურმა თავით დაუგდო ბურთი ნეჯათის, კიბეც ახლოდან შეაგდო კიდეც, მაგრამ მსაჯმა გოლი არ ჩათვალა, თამაშგარე იყოო. თუმცა „შალკეს“ ვებ-გვერდი ირწმუნება, ვიდეოსანაწერმა აჩვენა, რომ ნაღდი გოლი იყოო.

სამართალმა მალევე გაიმარჯვა — შუქურმა ამჯერად ფეხით უპასა ნეჯათის, რომელმაც მკერდით ჩამოიღო ბურთი და ფრანკ როსტს აუღებელი დაურტყა — „აუფშალკე“ ლამის აფეთქდა, მატჩს გერმანიაში მცხოვრები ათასობით თურქი ფანი ესწრებოდა.

მეორე ტაიმში „გალათასარაის“ რუმინელმა თავკაცმა გეორგე ჰაჯიმ თერთმეტიანი ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ „შალკემ“ თურქთა ვერც მეორე შემადგენლობას მოუხერხა რამე — რანგნიკმა ცხრა შეცვლა განახორციელა.

ვესტფალიელებმა რამდენიმე მწვავე ოუმც უშედეგო იერიში მიიტანეს სტუმართა კარზე, ერთი შანსი კობიაშვილსაც ჰქონდა — „გალათასარაის“ საჯარიმო მოედანში შეჭრილმა ასამომ ბურთი უკან დაუგორა ჩვენებურს, ცაცია კობიაშვილმა საჯარიმო მოედნის ხაზიდან მარჯვენა შეაგება ბურთს და ის ხარიხას გადაავლო.

„შალკემ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *როსტი (იუნლუ 46), ალტინტოპი (უდე კამპუისი 63), ვალდოხი (ვან ჰოოგდალემი 73), როდრიგესი, ჰანდერი (ლამოტე 46), პოულსენი (ვერმანტი 46), კობიაშვილი (ჰუგლანდი 63), ასამოა, სანდი (ბაუმოპანი 46), ჰანკე (დელურა 63), აილტონი (ჰესე 73).*

დავით თავართქილაძე

ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე ზვიად სტურუა თბილისურ „ლოკომოტივში“ გადავიდა და ამით საქართველოს ნაკრების კანდიდატის უქმობას ბოლო მოეღო.

შეგახსენებთ, რომ პირველი ეტაპის დასრულებისთანავე ქუთაისის „ტორპედოდან“ აბარგებული სტურუა აქამდე უგუნდოდ იყო, რამდენიმე ვარიანტი ჩაეშალა და ბოლოს, როცა ყველას „ზესტაფონში“ ეგონა, „ლოკომოტივში“ ამოჰყო თავი.

მოკლედ, სეზონის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი შედგა — სტურუა ლოკომოტიველია

სტურუამ ნაკრებისთვის ფული გადააბიჯა

ბადრი ჯეფერაძის ფოტო

— გადაწყვეტილი ამბავია: „ლოკომოტივში“ ვითამაშებ. გუნდი ახლა ბაქოშია, მგონი, 18 იანვარს ჩამოვა და კონტრაქტსაც მაშინ გავაფორმებ. თუმც ეს უკვე ფორმალობაა.

— რა ვადიან ხელშეკრულებაზე შეთანხმდით?

— სეზონის ბოლომდე „ლომოკოტივში“ ვიქნები და მერე ერთხელაც დავილაპარაკებთ. თუ შევთანხმდით, მომავალ ჩემპიონატშიც „ლოკომოტივში“ ვითამაშებ.

— გათავისუფლების ფურცელი და მსგავსი საბუთები ხელთ გაქვს?

— ყველაფერი მოწესრიგებულია. ჩათვალეთ, რომ უკვე ლოკომოტიველი ვარ.

— პირველ ეტაპზე „ლოკომოტივს“ ორი თანაბარძალოვანი მეკარე ჰყავდა: დავით გვარამაძე და ზურაბ ბათიაშვილი. ახლა ბათიაშვილი ფოთის „კოლხეთში“ გადავიდა, სათამაშო პრაქტიკა მჭირდებაო. შენ არ გეშინია კონკურენციის? რატომ გადადგი ასეთი ნაბიჯი?

— მე და დათო გვარამაძე მეგობრები ვართ. ქუთაისშიც ერთად ვიყავით და მთლად უცხო გარემოში მივდივარო, ვერ ვიტყვი. საერთოდაც, არც ერთ გუნდში არ უთქვამთ ჩემთვის, პირველი მეკარე იქნებიო. ყველაფერს შრომით მივაღწიე და ასე იქნება „ლოკომოტივშიც“ — კარში ძლიერი ჩადგება.

— „ტორპედოდან“ რატომ წამოხვედი?

— ნუ ეგონება ვინმეს, რომ „ტორპედო“ ფულის გამო დავტოვე. მით უმეტეს, ქუთაისში ოთხი წელი ვითამაშე და, რასაც მივაღწიე, ყველაფერი „ტორპედოს“ უკავშირდება. ყველას მადლობელი ვარ, მაგრამ ასე ჩავთვალე საჭიროდ. გარემო უნდა შემეცვალა და „ტორპედოს“ დატოვება გადავწყვიტე.

— ახლა, როცა ყველაფერი გარკვა და ლოკომოტიველი ხარ, შეგიძლია გვითხრა, რა ვარიანტები გქონდა?

— „ზესტაფონი“ და, მგონი, თბილისის „დინამო“. ბუნებრივია, „ლოკომოტივიც“. სხვა წინადადება არ მიმიღია. მერე „დინამო“ თავიდანვე გამორიცხა და...

— ვიცი, რომ „ზესტაფონი“ საკმაოდ დიდ თანხას გთავაზობდა. რატომ იუარე?

— კლუბის პრეზიდენტ ილია კოკაიას ველაპარაკე და ისეთ პირობებს დამპირდა, ბარე ორს არც დაესიზმრება. არა მგონია, მსგავსი თანხა საქართველოში ერთი-ორი ფეხბურთელის გარდა ვინმეს შესთავაზონ, მაგრამ... მე ნაკრებში თამაში მინდა. ძალიან ტრაფარეტული ნათქვამია, მაგრამ ფული არ მაინტერესებს — ჩემი პირველი მიზანი ნაკრებია.

— ანუ?

— „ლოკომოტივი“ უფრო სახელიანი, ამბიციური გუნდია და, ვფიქრობ, იქ უფრო შესამჩნევი ვიქნები ნაკრების მწვრთნელებისთვის. „ზესტაფონზე“ ცუდის თქმას არც ვაპირებ, პირიქით, ამ კლუბის ხელმძღვანელობის მადლობელი ვარ, თუმცა გადაწყვეტილება უკვე მივიღე და ამას ვერანაირი ფული ვერ შემაცვლევინებს. ნაკრების გამო ასეთ მსხვერპლს თვალდახუჭული გავიღებ.

— ნაკრებს ხშირად ახსენებ და, მოდი, ამაზეც ვთქვათ: ერთხელ უკვე გამოგიძახა ალენ ჟირესმა შეკრებაზე...

— მე მაშინ უბედნიერესი კაცი ვიყავი. ჩემი ქვეყნის ნაკრებში, მართალია, მესამე მეკარედ ვიყავი, მაგრამ მაინც მიხაროდა. ახლა კი უფრო მეტი მინდა — მიზანს მაშინ მივაღწევ, როცა კარში ჩავდგები. იმედი მაქვს, მეორე ეტაპზეც კარგად ვითამაშებ და ალენ ჟირესი კვლავ გამომიძახებს.

— „ტორპედოს“ ერთხელაც დაკუბრუნდეთ: რა მოხდა ისეთი, რომ მოუმზადებელმა და უფულო გუნდმა ყველას გასაკვირად ითამაშა და ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია?

— სეზონის წინ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას ვგეგმავდით, მაგრამ უცებ მოგებების სერია გაგვიგრძელდა. ეს ყველაფერი ბიჭების დამსახურებაა, მსგავსი მეგობრული და შეკრული გუნდი აქამდე არ მინახავს. „ტორპედო“ ასეთ შედეგს ალალად იმსახურებდა.

— „ტორპედომდე“ საქართველოში რამდენიმე გუნდი გამოიცვალე და ყველგან ჩრდილში იყავი. შენზე მაინცდამაინც დიდ აქცენტს მწვრთნელები არ აკეთებდნენ...

— როგორ გააკეთებდნენ, როცა სამი გუნდი ჩემ ხელში გავარდა?! „სამტრედია“, წყალტუბოს „სამგურალი“ და თსუ სწორედ მაშინ გავარდნენ უმაღლესი ლიგიდან, როცა კარში მე ვიდექი. მერე „ტორპედოში“ გადავედი და ბიჭები მეხუმრებოდნენ, ჩვენც არ გაგვაგდოო. არადა, მაშინ „ტორპედო“ ჩემპიონი იყო. ჩრდილში კი იმიტომ ვიყავი, რომ სუსტ გუნდებში თამაშს არასოდეს ვთაკილობდი. მერჩივნა, პრაქტიკა მქონოდა, ვიდრე მთელი სეზონი სკამზე გამეტარებინა. ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცი, როცა აუტსაიდერებში ვითამაშე.

— საქართველოს ჩემპიონიც ხარ და თასის მფლობელიც. უცხოეთში თამაშზე არ ფიქრობ?

— უცხოეთში წასვლა ყველას უნდა, მაგრამ მეკარისთვის ეს ძალიან ძნელია, მით უმეტეს, ქართველ მეკარეებს საზღვარგარეთ არცთუ მაღალი რეიტინგი აქვთ. მირჩევნია, აქ ვითამაშო...

— მეკარე ზვიად სტურუას სუსტი და ძლიერი მხარეები რა არის?

— დასახვეწი ძალიან ბევრი მაქვს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ შრომა არ მეზარება. პლუსებზე კი მე რა გითხრათ, თქვენ, ჟურნალისტებმა შეაფასეთ.

ძახა ზალამბერიძე

იმერული კრეიზი

ზესტაფონი-ტრაპიზონი-ანთალია



ავთანდილ ბურჭულაძის ფოტო

თემურ მახარაძე

ხვალ „ზესტაფონი“ ოცდღიან თურქულ შეკრებაზე მიემგზავრება. იმერლები ანთალიაში ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდებიან და შინ 7 თებერვალს დაბრუნდებიან. „ზესტაფონი“ ჯერ ავტობუსით ტრაპიზონში ჩავა, ანთალიაში კი იქიდან გადაფრინდება.

მწვრთნელ თემურ მახარაძეს ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის გუნდი საბოლოოდ ჯერაც არ ჰყავს დაკომპლექტებული, თუმც ცნობილია, რომ შეკრებაზე მას 24 ფეხბურთელი მიჰყავს.

დღეს უნდა გადაწყდეს, ითამაშებენ თუ არა „ზესტაფონში“ ქუთაისის „ტორპედოდან“ წასული სევასტი თოდუა და „ვიტ ჯორჯიასა“ და „ლოკომოტივის“ მცველები — თენგიზ კობიაშვილი და მიხეილ მახვილაძე. გაურკვეველია გიორგი განუგრავასა და ბექა გოცირიძის ამ გუნდში გადასვლის ამბავი. „ზესტაფონს“ ეს ფეხბურთელები ანთალიაში კი მიჰყავს, მაგრამ მათ ტრანსფერზე თბილისის „ამერისთვის“ ჯერ არ მიუმართავს.

გუშინ გავიგეთ, რომ „ზესტაფონი“ პირობებზე შეუთანხმებლობის გამო დატოვა ცენტრალურმა მცველმა კახა სიდამონიძემ, თავდამსხმელ ზაზა ზირაქიშვილთან კი გუნდი მოლაპარაკებას აგრძელებს და ყველაფერი დღეს-ხვალ გაირკვევა. დაგეგმილია, რომ გუნდს ანთალიაში ჩააკითხავენ უცხოელები, სერბი და არგენტინელი ფეხბურთელები, რომელთა ვინაობაც ზესტაფონელებმა ჯერ არ იციან.

„ზესტაფონმა“ ამხანაგური მატჩებიც დაგეგმა. იმერლებმა მეტოქეებად უკვე შეიგულეს ყაზანის „რუბინი“, გროზნოს „ტერეკი“, გრაცის „შტურმი“, ასევე მოლდოვური და რუმინული გუნდები.

კოტა ინასარიძე

სირაძე საოპერაციოა?

პასუხს სურათი იტყვის

დამდეგ უქმეებზე პირველი და მეორე ბუნდესლიგები განახლდება. მეორე ბუნდესლიგაში ორი ქართველია — ხვიჩა შუბითიძე აუეში და დავით სირაძე „ტრირში“. ტრირის „აინტრახტი“ ბუნდესლიგის მეორე ეტაპს შინ იწყებს — შაბათს „ობერჰაუზენს“ უმასპინძლებს, მაგრამ სირაძის თამაში ამ შეხვედრაში ძალიან სათუოა. დათოს გუშინ დავურეკეთ გერმანიაში...

— შეკრება ანთალიაში გავიარეთ და სამი ამხანაგური მატჩი ვითამაშეთ, რომელთაგან ერთში გერმანიის ჩემპიონ ბრემენის „ვერდერს“ 5:1 მოვუგეთ. ამ შეკრებაზე, მწვრთნელი ხან თავდამსხმელად მათამაშებდა, ხან ნახევარმცველად.

— ანთალიური შეკრებით რამდენად კმაყოფილი ხარ?

— აქ ნორმალურად მოვემზადეთ, მაგრამ მე მარჯვენა კოჭის ტკივილმა შემაწუხა. ადრეც გითხარით, სეზონის დაწყების წინ ერთ-ერთ ვარჯიშზე თანაგუნდელმა ჩამარტყა ფეხში და, ფაქტობრივად, მთელი პირველი ეტაპი გამიცდა.

— ანთალიურ შეკრებაზეც ხომ არ დაგიშავდა კოჭი?

— არა, ანთალიაში თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი, მაგრამ შეკრებაზე, მოგეხსენებათ, დიდი დატვირთვებია და კოჭის ტრავმის რეციდივიც ამან გამოიწვია.

— გუნდის ექიმი რას გეუბნება?

— რამდენიმე დღე უნდა დავისვენო. ახლა „მაინცთან“ გვაქვს ამხანაგური მატჩი, რომელსაც ვერ ვითამაშებ.

— ზუსტი დიაგნოზი ვერ დაგისვეს?

— ჯერ ვერა, თუმც ექიმმა მითხრა, შესაძლოა, ოპერაცია დაგჭირდესო. ხვალ სურათი უნდა გადამიღონ კოჭზე და ალბათ ზუსტ დიაგნოზსაც მეტყვიან.

დავით თავართქილაძე

ITALIA
სერია A XIX ტური

მილანი 3:1 უდინეზე

0:1 დი ნატალე (8), 1:1 შევჩენკო (30), 2:1 იანკულოვსკი (53ს.კ.), 3:1 კაკა (90)

მილანი: დიდა, კაფუ (კოსტაკურტა 87), ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო, პირლო, ზეედორფი (ამბროზინი 78), კაკა, შევჩენკო, კრესპო (ტომასონი 77)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, ფილიპე, მაური (ფავა 77), პინცი, დ. პიზარო, პაზიენცა (პიერი 71), იანკულოვსკი, იაკინტა, დი ნატალე

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: პაზიენცა, პირლო, პინცი

მსაჯი: ტრეფოლონი

62 417 მაყურებელი

კალიარი 1:1 იუვენტუსი

0:1 ემერსონი (54), 1:1 ძოლა (89)

კალიარი: იეცო, დ. ლოპესი, მალტალატი, ბეგა, აგოსტინი, აბეიხონი (კონტი 73), ბრამბილა, გობი, მ. ესპოზიტო, ძოლა, სუაცო (ლანგელა 65)

მწვრთნელი: დანიელე არიგონი

იუვენტუსი: ბუფონი, ძებინა, ტურამი, ფ. კანავარო, ძამბროტა, კამორანეზი, ემერსონი, ბლაზი (აპია 74), ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი, ტრეზეგე (დელ პიერო 74)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

გაფრთხილება: აბეიხონი, ბლაზი, გობი

მსაჯი: რაკალბუტო

26 000 მაყურებელი

რეჯინა 0:0 ინტერი

რეჯინა: პავარინი, ძამბონი, დე როზა, ი. ფრანჩესკინი, კანარზა, პარედესი, მოცარტი, ბალესტრი, ნაკამურა (ტედესკო 45), ჯ. კოლუჩი, ბონაცოლი (ბორიელო 88)

მწვრთნელი: ვალტერ მაცარი

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, ი. კორდობა, მატერაცი, ფავალი, ვან დერ მეიდე (რეკობა 73), კ. ძანეტი (ემრე 83), კამბიასო, კარაგუნისი, ადრიანო, ვიერი (ო. მარტინესი 70)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: კ. ძანეტი, კოლუჩი, ვიერი, კორდობა, კოლუჩი, კამბიასო

გაძევება: კოლუჩი (67)

მსაჯი: როზეტი

21 000 მაყურებელი

ლაციო 1:3 პალერმო

1:0 ბაცანი (16), 1:1 ტონი (41), 1:2 ძაური (66), 1:3 ტონი (89)

ლაციო: სერენი, ოდო, სივილია, ტალამონტი, ე. ფილიპინი, ა. ფილიპინი, ჯანიკედა, ლივერანი, სეზარი (პანდევი 67), ბაცანი, როკი

მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო

პალერმო: გუარდალბენი, ძაკარდო, ბიავა, ბარძალი, გროსო, ბარონე (ტერლიცი 60), კორინი, მორონე, ბრიენძა (სანტანა 70), ძაული, ტონი

მწვრთნელი: ფრანჩესკო გეიდოლინი

გაფრთხილება: ტალამონტი, ბიავა, მორონე, ე. ფილიპინი, ბაცანი, ტონი

მსაჯი: საკანი

35 000 მაყურებელი

სამპდორია 0:0 ბოლონია

სამპდორია: ანტონიოლი, კ. ძენონი, მ. კასტელინი (პავანი 76), ფალკონე, პიზანო, დიანა, ვოლპი (ედუსეი 77), პალომბო, ტონეტო, ფლაკი, ს. ინძაგი (როსინი 62)

მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო

ბოლონია: პალიუკა, ჟუარესი (ნასტასე 26), გამბერინი, ტორიზი, სუსი, ზაგორაკისი (კაპუანო 77), ლ. კოლუჩი, კ. ამორუზო, ბელუჩი, ლოკატელი (ლოვიზო 86), ტარე

მწვრთნელი: კარლო მაცონე

თაფლობის თვის დასასრული

მილანი — უდინეზე. მასპინძელთა ბრაზილიელმა კაკამ პირველ გოლში წილი დაიდო, მესამე კი თავად გაიტანა

გაფრთხილება: ამორუზო

მსაჯი: გაბრიელე

27 283 მაყურებელი

კიევო 2:2 რომა

1:0 პელისიერი (15), 2:0 ტირიბოკი (20), 2:1, 2:2 მონტელა (33, 51)

კიევო: მარკეჯანი, ფ. მორო, მანდელი, დანა, მენსა, ს. ლანა, სემიოლი, ბარონიო (მალაგო 74), სამარკო, პელისიერი, ტირიბოკი (ლუსიანო 65)

მწვრთნელი: მარიო ბერეტა

რომა: პელიცოლი, მექსეში, დელასი, მ. ფერარი, მასსინი, დე როსი (დაკური 74), აკილანი (დაგოსტინო 87), კუფრე, ტოტი, მონტელა, ა. კასანო

მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი

გაფრთხილება: ტირიბოკი, მალაგო, ფერარი, დანა, კუფრე, კასანო

მსაჯი: მორგანტი

9 523 მაყურებელი

პარმა 2:1 ლეჩე

1:0 ბრეშიანო (53), 1:1 ვუჩინიჩი (82), 2:1 ჯილარდინო (90)

ჯილარდინომ ვერ გაიტანა პენალტი (35, მეკარე)
მორფეომ ვერ გაიტანა პენალტი (45, აციილა)

პარმა: ს. ფრეი, პ. კანავარო (ფერონეტი 85), ბონერა, ბოვო, კონტინი (პოტენცა 83), მარკიონი, სიმპლისიო, გრელა, მორფეო (ბუდელი 68), ბრეშიანო, ჯილარდინო

მწვრთნელი: პიეტრო კარმინიანი

ლეჩე: სიჩინიანო, კასეტი, დიამუტენე, სტოვინი, რულო (აბრუცეზე 73), ჯაკომაცი, ლედესმა, დალა ბონა, ბოჟინოვი, ბიელანოვიჩი (ვუჩინიჩი 60), პინარდი (ბაბუ 67)

მწვრთნელი: ზდენეკ ზემანი

გაფრთხილება: მარკიონი, ბოჟინოვი, გრელა, დიამუტენე, პოტენცა

მსაჯი: პალანკა

13 000 მაყურებელი

ბრეშა 1:1 ფიორენტინა

0:1 მიკოლი (49), 1:1 დი პასკუალე (62)

ბრეშა: კასტელაცი, ჟ. მარტინესი, დი ბიაჯო, ადანი, სტანკევიჩიუსი, გუანა, მილანეტო (დომიციი 60), დალა-მანო (მანინი 60), დელ ნერო (დი პასკუალე 33), ნიგაარდი, კარაჩოლო

მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი

ფიორენტინა: ლუპატელი, მაჯო, უიფალუში, დაინელი, კიელინი, ხ. ვალდესი (დი ლიგიო 54), პიანჯერელი, ობოდო, ბრიატი, მიკოლი, ფანტინი

მწვრთნელი: სერჯო ბუზო

გაფრთხილება: დელ ნერო, ვალდესი, მილანეტო, დი პასკუალე

მსაჯი: კოლინა

7 000 მაყურებელი

ლივორნო 3:1 მესინა

1:0 კოლომბო (58), 2:0 ვიჯანი (70), 3:0 პროტი (75), 3:1 ჯამპა (78)

ლივორნო: ამელია, გალანტე, ფ. ვარგასი, ა. ლუკარელი, ბალერი (პფერელი 84), ვიდიგალი (გრაუზო 61), პასონი, ვიჯანი, დოგა, კოლომბო (პროტი 58), კ. ლუკარელი

მწვრთნელი: რობერტო დონადონი

მესინა: სტორარი, ზორო კპოლო, რეზაეი (კუჩარი 86), არონიკა, პარიზი, ჯამპა, კოპოლა, ძანკი, სულო (რაფაელი 66), დი ნაპოლი (ნ. ამორუზო 66), ძამპანა

მწვრთნელი: ბორტოლო მუტი

გაფრთხილება: კოლომბო, ზორო კპოლო, კუჩარი

მსაჯი: პაპარესტა

16 000 მაყურებელი

ატალანტა 1:1 სიენა

1:0 სინიგალია (19), 1:1 კიეზა (43)

ატალანტა: ტაიბი, ინოჩენტი, სალა, ნატალი, ბელინი, დ. ძენონი (ბონტოლივო 66), მილაჩიო, ალბერტინი (ბერნარდინი 46), მარკოლინი (მინგაცინი 79), ბუდანი, სინიგალია

მწვრთნელი: დელიო როსი

სიენა: ფორტინი, ჩირილო, ფოლიო, კოლონეზე, პასკუალე, არჯილი, დი დონატო, ვერგასოლა, ტადეი (მენგაცო 89), ტ. ფლო, კიეზა

მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო

გაფრთხილება: პასკუალე, მილაჩიო, ბელინი, ჩირილო, ბუდანი

მსაჯი: დე სანტისი

12 000 მაყურებელი

„მილანმა“ „უდინეზეს“ თავდაჯერებით, თუმცა იმავდროულად, ძალიან თვალსასაერო შეხვედრაში მოუგო. საინტერესო ის გახლდათ, რომ უდინელებს „სან სიროზე“ ბოლო სამი ჩასვლიდან ორი თამაში მოგებული ჰქონდათ, ხოლო „შავ-წითლების“ მწვრთნელს, კარლო ანჩელოტის ოთხი ცდიდან მხოლოდ ერთხელ ჰყავდა „უდინეზე“ დამარცხებული — დანარჩენი სამი მატჩი ანჩელოტის გუნდის მარცხით დამთავრდა. გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ კოჭის ოპერაციის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა იაპ სტამი, რის გამოც პაოლო მალდინიმ მისთვის ჩვეულ და ბუნებრივ მარცხენა ფრთაზე გადაინაცვლა. რაც შეეხება „უდინეზეს“, დავიდე დი მიკელესა და მუნტარის დისკვალიფიკაციის გამო ასევე ტაქტიკური გადაადგილებები ჰქონდა ჩასატარებელი.

შეხვედრის პირველი წუთები „მილანმა“ უკეთ ჩაატარა, მაგრამ ანგარიში, თანაც მე-9 წუთზევე, სტუმრებმა გახსნეს: ანტონიო დი ნატალემ იაკინტას პასით ოსტატური გოლი შეაგდო. „შავ-წითლებმა“ 31-ე წუთზე გაათანაბრეს, როდესაც კაკას დაბალმა პასმა კრესპოს გვერდზე კი ჩაუფრინა, მაგრამ აბსოლუტურად უმეთვალყურეო შევჩენკოს გაუხარა გული. შემდეგ მილანელები ჩეხმა მარეკ იანკულოვსკიმ დააწინაურა — იანკულოვსკი, მართალია, „უდინეზეში“ თამაშობს და ამ შეხვედრაში ბურთი საკუთარ კარში შეაგდო, მაგრამ უნებლიედ თავისი მომავალი გუნდის საქმე გააკეთა — ასეც ხდება ხოლმე. ბოლოს კი კაკამ დაუსვა შეხვედრას წერტილი.

„რეჯინამ“, რომელიც, სხვათა შორის, ბოლოს ათი კაცით იყო მშობლიური „სტადიო გრანილოს“ მოედანზე, „ინტერს“ კინაღამ მოუგო. მიუხედავად იმისა, რომ მილანელთა მწვრთნელისგან, რობერტო მანჩინისგან ყველა სამთავდამსხმელიან ტაქტიკას ელოდა, „შავ-ლურჯებმა“ მკაფიო 4-4-2-ს მიმართეს. „ინტერში“ ემრეს პოზიცია გეორგიოს კარაგუნისმა დაიკავა, ხოლო „რეჯინაში“ დაბრუნდა ემილიანო ბონაცოლი, თუმცა ჯანდომენიკო მესტო დისკვალიფიცირებული გახლდათ. საბოლოოდ, შეხვედრა ინტერელთა მეცამეტე ფრით დასრულდა.

მოდით, პატივი ვცეთ „ლივორნოსა“ და „მესინას“ მატჩს და იმიტომ, რომ ამ შეხვედრაში სერია A-ში სამწვრთნელო დებიუტი ჰქონდა წარსულში ცნობილ ფეხბურთელს რობერტო დონადონის, რომელიც „ლივორნოს“ ჩაუდგა სათავეში და, როგორც ხედავთ, მოაგებინა კიდეც მნიშვნელოვანი თამაში. საგულისხმოა, რომ სერია A-ში ახალი აღზევებული ეს ორი გუნდი ამ მატჩის წინ ერთმანეთისგან მხოლოდ ერთი ქულით იყვნენ დაცილებული.

„ლაციომ“ შინ 1:3 [illegible] მოსთან“, რაზეც ასე ითქვა: ჯუზეპე პაპადოპულოს თაფლობის თვე რომაელებთან, დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ლამის თილისმად ქცეულმა პაოლო დი კანიომ გრიპის გამო ვერ ითამაშა. იგი შეუერთდა მოედნის მიღმა დარჩენილთ: ანჯელო პერუჯის, რობერტო მუციოსა და ლუჩანო ძაურის. სხვათა შორის, ამ სეზონში სიცილიელები სტუმრად მინცდამინც კარგად ვერ თამაშობენ, მაგრამ ბოლო პერიოდში (თუნდაც წინა ტურში „მილანთან“ ნათამაშევი გაიხსენეთ) ყოჩაღობენ, რის დასტურიც ეს შეხვედრა გახლავთ.

და, რაკიღა რომის ერთ გუნდზე ვისაუბრეთ, იქვე რატომაც არ უნდა ვისაუბროთ მეორეზე: „რომა“ კერონაში „კიევოს“ 2:2 დაუსრულა — რომაელთაგან ორივე გოლი ეინჩენკო მონტელამ გაიტანა. ცნობისთვის: „კიევო“ 2:0-ს იგებდა. და კიდევ, მონტელამ ორიდან ერთი ულამაზესი მაკრატელათი შეაგდო.

პაპუნა კედია

სერია B
XXI ტური

კატანძარო 1:4 ტერნანა
0:1 ფრიკი (5), 0:2 ხიმენესი (11), 0:3 ფრიკი (33), 1:3 მიჩელი (58), 1:4 ჯანონე (60)

ჩეზენა 1:0 კატანია
1:0 რინაუდო (68)

ემპოლი 0:0 ბარი

მოდენა 0:1 ასკოლი
0:1 მოდესტო (9)

პერუჯა 1:0 ალბინოლეფე
1:0 პინტუ ფერეირა (59)

პესკარა 2:1 ტრიესტინა
1:0 ტერა (35), 1:1 ტული (80), 2:1 ვარიკიო (82)

სალერნიტანა 1:1 კროტონე
0:1 კონკო (84), 1:1 რუბინო (89)

ტორინო 1:2 ტრევიზო
0:1 ბარეტო (30), 1:1 ბალძარეტი (31), 1:2 გალო (63პ)

ვენეცია 0:3 ჯენოა
0:1 გ. მილიტო (33), 0:2 რიმოლდი (56), 0:3 კაჩა (83)

პიჩენცა 1:1 არეცო
1:0 ჯენტილე (11ს.კ.), 1:1 სპინეზი (46)

პიჩენცა — ვერონა
დღეს გაიმართება

ჯენოა	21	13	7	1	44:18	46
პერუჯა	21	11	6	4	30:18	39
ტორინო	21	11	4	6	27:19	37
ემპოლი	21	10	6	5	31:19	36
ვერონა	20	10	5	5	41:27	35
ასკოლი	21	10	5	6	28:25	35
ტრევიზო	21	9	5	7	26:25	32
პიაჩენცა	20	9	2	9	27:29	29
ალბინოლეფე	21	7	6	8	28:25	27
ტერნანა	21	7	6	8	22:24	27
ჩეზენა	21	7	6	8	26:31	27
არეცო	21	5	11	5	30:26	26
მოდენა	21	9	3	9	23:24	26
ვიჩენცა	21	8	2	11	32:36	26
კატანია	21	6	8	7	20:25	26
ტრიესტინა	21	6	6	9	24:30	24
ბარი	21	5	9	7	21:22	23
სალერნიტანა	21	6	5	10	27:36	23
პესკარა	21	5	8	8	21:30	23
კროტონე	21	5	7	9	22:28	19
კატანძარო	21	4	5	12	20:39	17
ვენეცია	21	3	6	12	15:29	15

„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „კროტონეს“ — 3 და „ბარის“ — 1 ქულა

სერია C1/A
XIX ტური

ფროზინონე — პიზა 1:0; აკირეალე — სპეცია 1:1; კომო — პრო პატრია 1:2; კრემონეზე — სანჯოვანეზე 2:1; ფ. ანდრია — ლუმეცანე 1:0; ნოვარა — პისტოიეზე 1:0; პავია — მანტოვა 0:2; პრატო — ვიტორია 0:1; ს. ტორესი — გროსეტო 0:0

სერია C1/B
XIX ტური

აველინო — ჯულიანოვა 2:0; ბენევენტო — ლანჩანო 1:1; კიეტი — სორა 1:1; ნაპოლი — ფერმანა 1:1; პადოვა — მარტინა 1:1; რეჯანა — ჩიტადელა 1:1; სპალ — რიმინი 0:0; ტერამო — პეზარო 1:0. *სამპენდიტეზე — ფოჯა დღეს გაიმართება*

№	სულ							შინ							სტუმრად						
	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 იუვენტუსი	19	13	5	1	34:11	23	44	9	7	2	0	17:5	12	23	10	6	3	1	17:6	11	21
2 მილანი	19	12	6	1	35:12	23	42	10	6	3	1	26:10	16	21	9	6	3	0	9:2	7	21
3 უდინეზე	19	10	4	5	28:18	10	34	9	5	2	2	15:6	9	17	10	5	2	3	13:12	1	17
4 ინტერი	19	6	13	0	38:26	12	31	9	4	5	0	20:11	9	17	10	2	8	0	18:15	3	14
5 პალერმო	19	7	7	5	19:13	6	28	9	5	3	1	10:3	7	18	10	2	4	4	9:10	-1	10
6 სამპდორია	19	8	4	7	19:15	4	28	10	4	2	4	6:6	0	14	9	4	2	3	13:9	4	14
7 რომა	19	7	6	6	35:29	6	27	9	4	4	1	20:13	7	16	10	3	2	5	15:16	-1	11
8 კალიარი	19	7	5	7	27:32	-5	26	10	6	3	1	17:10	7	21	9	1	2	6	10:22	-12	5
9 რეჯინა	19	6	6	7	16:20	-4	24	10	5	2	3	11:10	1	17	9	1	4	4	5:10	-5	7
10 ლაციო	19	6	5	8	26:29	-3	23	10	3	3	4	16:16	0	12	9	3	2	4	10:13	-3	11
11 ფიორენტინა	19	5	8	6	19:22	-3	23	9	4	3	2	13:8	5	15	10	1	5	4	6:14	-8	8
12 ლივორნო	19	6	5	8	23:27	-4	23	10	5	1	4	12:11	1	16	9	1	4	4	11:16	-5	7
13 ლეჩე	19	5	7	7	35:38	-3	22	9	4	2	3	19:16	3	14	10	1	5	4	16:22	-6	8
14 ბოლონია	19	5	6	8	19:20	-1	21	9	4	2	3	12:9	3	14	10	1	4	5	7:11	-4	7
15 მესინა	18	5	6	7	22:29	-7	21	8	4	3	1	14:10	4	15	10	1	3	6	8:19	-11	6
16 კიევო	19	5	6	8	18:28	-10	21	10	3	4	3	10:12	-2	13	9	2	2	5	8:16	-8	8
17 ბრეშა	19	5	4	10	15:25	-10	19	10	2	3	5	6:12	-6	9	9	3	1	5	9:13	-4	10
18 პარმა	19	4	7	8	20:31	-11	19	10	3	5	2	13:11	2	14	9	1	2	6	7:20	-13	5
19 სიენა	19	3	8	8	15:27	-12	17	9	1	5	3	7:14	-7	8	10	2	3	5	8:13	-5	9
20 ატალანტა	18	1	8	9	14:25	-11	11	10	1	6	3	9:11	-2	9	8	0	2	6	5:14	-9	2

ბომბარდირები

მონტელა (რომა)	16
ადრიანო (ინტერი)	14
შევჩენკო (მილანი)	13
ბოჟინოვი (ლეჩე)	10
ტოტი (რომა)	10

XX ტური

22-23 იანვარი

ლეჩე	:	ატალანტა
იუვენტუსი	:	ბრეშა
ბოლონია	:	კალიარი
ინტერი	:	კიევო
ლივორნო	:	მილანი
სიენა	:	პალერმო
მესინა	:	პარმა
უდინეზე	:	რეჯინა
ფიორენტინა	:	რომა
ლაციო	:	სამპდორია

ნელგამართული არისტოკრატები

მაურინიუ ფერგიუსონს ჯარგ ღვინოს შეჰირდა

REUTERS ლონდონიდან

ტოტენჰემი — ჩელსი. ფრენკ ლამპარდმა საგოლედ ორჯერ გაისროლა

ინგლისი

პრემიერლიგა. XXIII ტური

ტოტენჰემი 0:2 ჩელსი

0:1, 0:2 ლამპარდი (39პ, 90)

ტოტენჰემი: პ. რობინსონი, პამარო (მერნი 71), კინგი, ნაიბეტი, ედმანი, მ. ბრაუნი, პ. მენდეში (იეტსი 78), კარიკი, ციგლერი (ე. გარდნერი 67), რობი კინი, დეფო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

ჩელსი: პ. ჩეხი, გ. ჯონსონი, ტერი, გალასი, პ. ფერეირა, სმერტინი (იაროშიკი 70), მაკელელე, ლამპარდი, რობენი, დაფი (ჯ. კოული 80), დროგბა (გუდიონსენი 76)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

გაფრთხილება: ბრაუნი, იეტსი, დაფი, ჯონსონი, ტერი, მაკელელე

მსაჯი: პოლი

36 105 მაყურებელი

ბოლტონი 1:0 არსენალი

1:0 იანაკოპულოსი (41)

ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ბენ ჰაიმი, ნგოტი, რ. გარდნერი, კამპო, ოკოჩა (ჰ. პედერსენი 79), სპიდი, ნოლანი (იერო 87), იანაკოპულოსი, დიუფი

მწვრთნელი: სემ ალარდაისი

არსენალი: ალმუნია, ჰოიტი, კ. ტურე, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ფაბრეგასი (რეიესი 66), პირესი, ვან პერსი (ბერხკამპი 66), ანრი

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ნოლანი, იანაკოპულოსი, ვან პერსი

მსაჯი: კლატენბურგი

27 514 მაყურებელი

ლივერპული 0:1 მანჩესტერ იუნ.

0:1 რუნი (21)

ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, პელეგრინო, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია, ჯერარდი, ჰამანი (ბიშკანი 79), რიისე (სინამბ-პონიოლი 72), ბაროში, მორიენტესი (ა. ნუნიესი 75)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მანჩესტერ იუნ: კეროლი, ფ. ნევილი, ვ. ბრაუნი, მ. სილვესტრი, ჰაინცე, ფლეტჩერი, როი კინი, სქოულზი, კ. რონალდო (ოში 67), რუნი (ბელიონი 90), საა (კ. ფორჩუნი 79)

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: კარაგერი, ნუნიესი, ბრაუნი, რუნი, ბრაუნი, ფორჩუნი, კინი

გაძევება: ბრაუნი (65)

მსაჯი: ბენეტი

44 183 მაყურებელი

ნიუკასლი 2:1 საუთჰემპტონი

1:0 შირერი (9პ), 2:0 ბრამბლი (38), 2:1 კრუჩი (42)

ნიუკასლი: გიენი, ს. ტეილორი, ბრამბლი, ბუმსონგი, ბაბაიარო (ა. ჰიუზი 86), ჯენასი, ბოიერი, კ. დაიერი, ბელამი (მილნერი 75), შირერი (კლუივერტი 62), ამეობი

მწვრთნელი: გრემ სუნესი

საუთჰემპტონი: ნიემი (ჰ. სმიტი 6), ტელფერი, ლუნდეკვამი, დეფენბორტი, ჰიგინბოთემი, პრატონი, რედნაპი, დელაპი, ნ. მაკკანი (ა. სვენსონი 66), ფილიპსი (ორმეროდი 87), კრუჩი

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

გაფრთხილება: ტელფერი, კრუჩი

მსაჯი: რენიე

51 266 მაყურებელი

ასტონ ვილა 3:0 ნორვიჩი

1:0 რიდგუელი (9), 2:0 ჰენდრი (27), 3:0 სოლანო (76)

ასტონ ვილა: სორენსენი, დილანი, მელბერგი, რიდგუელი, ჯ. სამუელი, სოლანო (ს. დევისი 82), ბერსონი (ჰ იცლშპერგერი 77), ჰენდრი, ბერი, ჰ. ანსელი, კ. კოული (ლ. მური 74)

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

ნორვიჩი: რ. გრინი, ედვორთი, ფლემინგი, დოჰერტი, დრური, მ. იონსონი, მალრინი (მაკკენზი 46), ფრენსისი, ბრენანი, ჰაკერბი (ქროუ 89), ეშტონი (ჯერვისი 85)

მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი

მსაჯი: რაილი

38 172 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი 3:1 კრისტალ პალასი

1:0 შ. რაიტ-ფილიპსი (12), 2:0 ფაულერი (15), 2:1 პაუელი (32), 3:1 შ. რაიტ-ფილიპსი (90)

მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, მილსი, დისტინი, რ. დანი, ტეტჩერი, შ. რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი, სიბიერსკი (მაკმანამანი 46), ფაულერი (ონუა 90), მაკენი (ბ. რაიტ-ფილიპსი 72)

მწვრთნელი: კევინ კიგანი

კრისტალ პალასი: კირალი, ბოისი, ჰალი, დ. პაუელი, სორონდო, რუტლეჯი (შიპერლი 77), ლიგერტვუდი, ბ. უოტსონი (დ. ენდრიუსი 46), სუარესი, ლაკისი (ბროუდელი 60), ენდრიუ ჯონსონი

მწვრთნელი: იან დოუვი

გაფრთხილება: დანი, ბარტონი, ლიგერტვუდი

მსაჯი: მარინერი

44 010 მაყურებელი

პორტსმუთი 0:1 ბლეკბერნი

0:1 პედერსენი (55)

პორტსმუთი: ბისლოპი, სტოუნი (მეთიუ ტეილორი 20), პრიმუსი, დე ზეუვი, სტეფანოვიჩი, ლუა ლუა, ფეიე, გ. ონილი, ბერგერი, ბიეგბენი, დ. კამარა (ფულერი 86)

მწვრთნელი: ველიმირ ზაიჩი

ბლეკბერნი: ფრიდელი, ნელსენი, ტოდი, მოკოენა, ნ. იოჰანსონი, ემერტონი, თუგაი (რიდი 76), დ. ტომპსონი, რ. პედერსენი, პ. გალაჰერი (მ. იანსენი 74), დიკოვი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: ონილი, ფეიე, ნელსენი, მოკოენა, იოჰანსონი, ემერტონი, თუგაი, დიკოვი, ფეიე

გაძევება: ლუა ლუა (51), ფეიე (90)

მსაჯი: დურსო

19 904 მაყურებელი

ჩარლტონი 3:1 ბირმინგემი

1:0 ელ კარკური (9), 1:1 მელხიოტი (55), 2:1 ბარტლეტი (67), 3:1 მერფი (75)

ჩარლტონი: კაილი, ლ. იანგი, ჯ. ფორჩუნი, ელ კარკური, ჰრეიდარსონი, რომედალი (ჯეფერსი 67), მერფი, ბ. ჰიუზი (კონჩესკი 72), ბოლანდი, ტომა (კიშიშევი 80), ბარტლეტი

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

ბირმინგემი: მაიკ ტეილორი, მელხიოტი, კანინგემი, აპსონი, ტებილი, დ. ჯონსონი, კარტერი, კლემენსი (ჯ. გრეი 70), ანდერტონი (იორკი 82), ჰესკი (რ. ბლეიქი 77), კ. მორისონი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

გაფრთხილება: აპსონი, ჯონსონი

მსაჯი: ფიო

26 111 მაყურებელი

მიდლსბრო 1:1 ევერტონი

1:0 ზენდენი (26), 1:1 ჩეჰილი (76)

მიდლსბრო: შვარცერი, ეჰიოგუ (კ. კუპერი 17), კეტრუ, რაიციგერი, საუთგეიტი, დორივა, დაუნინგი, ზენდენი, ჰასელბაინკი, დეზირე-ჟობი, ნემეტი (ჯ. მორისონი 59)

მწვრთნელი: სტივ მაკლარენი

ევერტონი: რ. რაიტი, ჰიბერტი, პისტონე, სტაბსი, ვეირი, იობო (დ. ფერგიუსონი 75), ჩეჰილი (ნეისმიტი 86), კარსლი, კილბეინი, ბიტი (მაკფადენი 89), მ. ბენტი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: ჰიბერტი, ბიტი, ზენდენი

მსაჯი: გალაჰერი

31 794 მაყურებელი

ფულემი 1:0 ვესტ ბრომვიჩი

1:0 დიოპი (90)

ფულემი: ვან დერ სარი, ბოკანეგრა, ნაითი, რემანი, ვოლცი, პ. ბ. დიოპი, მალბრანკი (კლარკი 22), ჰემბრიჯი, ბოა მორტე, კ. ჯონი (ბ. მაკბრაიდი 79), რაძინსკი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, ალბრეხტსენი, კლემენტი, პარსი, პ. რობინსონი, უოლვორკი, ჯ. გრინინგი, ენდი ჯონსონი (შიმეკა 70), კ. კემპბეი, ერნშოუ, გერა

მწვრთნელი: ბრაიან რობსონი

გაფრთხილება: გრინინგი, ბოა მორტე, ბოკანეგრა, კლარკი

მსაჯი: უოლტონი

16 180 მაყურებელი

ასე ჩანს, რომ „ჩელსი" მართლაც ჩემპიონობის უპირველესი და ყველაზე წელმაგარი კანდიდატია. კლუბს ტიტული ბოლოს ნახევარი საუკუნის წინათ მოუგია და ახლა საქმე ისეა, რომ უახლოეს მდევრებს 10-11 ქულით უსწრებს.

„ტოტენჰემს" ბოლო 15 წელიწადს არ მოუგია სალიგო თამაში „არისტოკრატებისთვის" და ვერც ამჯერად მოუგო, თუმცა, ამჯერად „ტოტენჰემი" კარგი გუნდია. ფრენკ ლამპარდის ორმა გოლმა (პირველი პენალტით ალექსი სმერტინის წაქცევისთვის, მეორე 90-ე წუთზე) და „არსენალის" მოულოდნელმა დამარცხებამ ბოლტონში, „ჩელსის" კიდევ უფრო მოუმაგრა პოზიცია.

„ჩელსი" ასევე შეიქნა პირველი გუნდი, რომელმაც ზედიზედ 6 თამაში ისე მოიგო პრემიერლიგაში, რომ გოლი არ გაუშვია. ჟოზე მაურინიუს გუნდს მღელვარება არ ეტყობოდა, „ტოტენჰემს" კი 10 თამაში არ წაეგო. „ჩელსიმ" იცოდა,



ჟოზე მაურინიუ

რომ ადრიან თამაშში 10-კაცით დარჩენილმა „მანჩესტერმა" მაინც გამოგლიჯა 3 ქულა „ლივერპულს" „ენფილდზე". „არსენალმა" ორივე მეტოქის შედეგი იცოდა, მაგრამ ბოლტონელი სტელიოს იანაკოპულოსის გოლს, რომელიც ელ-ჰაჯი დიუფის ბრწყინვალე კროსს მოჰყვა, ვერაფერი დაუპირისპირა.

„ნიუკასლს" დაუბრუნდა ალან შირერი, რომელსაც 12 თამაში გაუცდა და პენალტის ნიშნულიდან ალნიშნა დაბრუნება. ჯორდებმა 3:1 მოუგეს „საუთჰემპტონს". „ასტონ ვილამ" „ნორვიჩს" მოუგო სამი ბურთით, „სიტიმ" კი „კრისტალ პალასს" 2 ბურთით.

„ბლეკბერნის" ნორვეგიელმა მორტენ პედერსენმა პირველი პრემიერლიგური გოლი გაიტანა გასვლით თამაში და მარკ ჰიუზის გუნდმა „პორტსმუთს" მოუგო, თუმც მასპინძლები დიდხანს ათნი თამაშობდნენ, ბოლოს კი საერთოდ ცხრანი.

„მანჩესტერმა" ლივერპულში უეინ რუნის 25 მეტრიდან დარტყმულით გაიმარჯვა, მასპინძელთა მეკარე ირჟი დუდეკს ნაღდად ჩაეძინა. მერე როი კინმაც დააზანზარა ძელი, „ლივერპული" კი, რომელსაც ბურთი ეჭირა, ეგრეც ვერ დატრიალდა მეტოქის კართან ჯეროვნად. ფერნანდო მორიენტესი უგოლოდ გავიდა სადებიუტო თამაშიდან და მასპინძლებს უესლი ბრაუნის მეორე ყვითელმაც ვერ უშველათ.

ამ ამბების შემდეგ არსენ ვენგერს კვლავ არ სჯერა „ჩელსის" უპირობო ლიდერობისა, მან თქვა: „ხალხს შეუძლია ის იფიქროს, რაც სურს, მაგრამ წინ გრძელი გზაა. „ჩელსი" ზღაპრულ პოზიციაშია. მათ ამ პოზიციის მოპოვება აღარ შეუძლიათ, რადგან ის უკვე მოიპოვეს. ამიტომ მათ მხოლოდ დაკარგვა შეუძლიათ. ჩვენ ვიბრძოლებთ. სულ ბოლო წამამდე, მაისის ბოლომდე".

ამასობაში ალექს ფერგიუსონმა კვლავ ვენგერი გააკრიტიკა ისევ იმ სკანდალური მატჩის გამო, გასულ შემოდგომაზე რომ შედგა „ოლდ ტრეფორდზე": „მან წაგება არ იცის. თამაშის შემდეგ გვირაბში, ჩემს ფეხბურთელებს სათითაოდ ლანძღავდა".

ჟოზე მაურინიუ კი ყველასთვის მოულოდნელად სერ ალექსის ქებას მოჰყვა. ეს მას შემდეგ, რაც ლიგის თასის მატჩის შემდეგ მსაჯ

	სულ							შინ							სტუმრად						
№	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ჩელსი	23	18	4	1	45:8	37	58	11	9	2	0	22:3	19	29	12	9	2	1	23:5	18	29
2 არსენალი	23	14	6	3	52:25	27	48	11	6	5	0	28:12	16	23	12	8	1	3	24:13	11	25
3 მანჩესტერი	23	13	8	2	34:13	21	47	11	7	4	0	19:5	14	25	12	6	4	2	15:8	7	22
4 ევერტონი	23	13	5	5	28:24	4	44	11	8	1	2	15:11	4	25	12	5	4	3	13:13	0	19
5 ლივერპული	23	11	4	8	36:23	13	37	12	8	1	3	20:9	11	25	11	3	3	5	16:14	2	12
6 მიდლსბრო	23	10	6	7	35:29	6	36	12	6	4	2	19:12	7	22	11	4	2	5	16:17	-1	14
7 ჩარლტონი	23	10	4	9	27:33	-6	34	12	7	2	3	20:13	7	23	11	3	2	6	7:20	-13	11
8 ტოტენჰემი	23	9	6	8	29:23	6	33	12	4	3	5	22:18	4	15	11	5	3	3	7:5	2	18
9 სიტი	23	8	7	8	30:24	6	31	12	5	4	3	16:9	7	19	11	3	3	5	14:15	-1	12
10 ასტონ ვილა	23	8	7	8	26:26	0	31	12	7	3	2	19:7	12	24	11	1	4	6	7:19	-12	7
11 ბოლტონი	23	8	6	9	30:31	-1	30	12	5	3	4	14:11	3	18	11	3	3	5	16:20	-4	12
12 ნიუკასლი	23	7	8	8	35:40	-5	29	12	5	3	4	20:19	1	18	11	2	5	4	15:21	-6	11
13 პორტსმუთი	23	7	6	10	26:31	-5	27	12	5	2	5	16:16	0	17	11	2	4	5	10:15	-5	10
14 ბირმინგემი	23	6	8	9	26:28	-2	26	11	3	4	4	12:9	3	13	12	3	4	5	14:19	-5	13
15 ფულემი	23	7	4	12	29:39	-10	25	12	5	1	6	15:20	-5	16	11	2	3	6	14:19	-5	9
16 ბლეკბერნი	23	5	10	8	21:33	-12	25	11	2	7	2	13:16	-3	13	12	3	3	6	8:17	-9	12
17 კრ. პალასი	23	4	6	13	24:37	-13	18	11	3	2	6	10:12	-2	11	12	1	4	7	14:25	-11	7
18 ნორვიჩი	23	2	10	11	19:42	-23	16	11	2	4	5	13:19	-6	10	12	0	6	6	6:23	-17	6
19 საუთჰემპტონი	23	2	9	12	23:39	-16	15	11	2	7	2	16:16	0	13	12	0	2	10	7:23	-16	2
20 ვესტ ბრომვიჩი	23	1	10	12	17:44	-27	13	11	1	5	5	7:19	-12	8	12	0	5	7	10:25	-15	5

XXIV ტური

22-23 იანვარი

არსენალი	:	ნიუკასლი
ვესტ ბრომვიჩი	:	სიტი
ბირმინგემი	:	ფულემი
ბლეკბერნი	:	ბოლტონი
ჩელსი	:	პორტსმუთი
კრ. პალასი	:	ტოტენჰემი
ევერტონი	:	ჩარლტონი
მანჩესტერი	:	ასტონ ვილა
ნორვიჩი	:	მიდლსბრო
საუთჰემპტონი	:	ლივერპული

ბომბარდირები

ანრი (არსენალი)	16
ენდრიუ ჯონსონი (კრ. პალასი)	13
დეფო (ტოტენჰემი)	10
პირესი (არსენალი)	10
შ. რაიტ-ფილიპსი (მანჩესტერ სიტი)	9
ჰასელბაინკი (მიდლსბრო)	8
ბაროში (ლივერპული)	8
ენდი კოული (ფულემი)	8
დროგბა (ჩელსი)	8
აიეგბენი (პორტსმუთი)	8



ალექს ფერგიუსონი

ნილ ბერიზე ზეგავლენაში დაადანაშაულა: „რა სისულელეა, უბრალოდ ის დიადი და პატივცემული კაცია და მისი ყოველი სიტყვა გავლენას ახდენს. აი, ეს ვთქვი. იმ თამაშის შემდეგ კი ჩვენ ერთად გამოვცალეთ ბოთლი ღვინო. თუმცა, ღვინო ისეთი ვერ იყო, ჩვენ რომ გვეკადრება. „ოლდ ტრეფორდზე" რომ ჩავალ, ძალიან მაგარი პორტუგალიური ღვინო უნდა ჩავუტანო".

მოდი და, გაუგე ამათ ინტრიგებს.

ირაკლი გამყრელიძე

პირველი ლიგა

XXVIII ტური

ბარნსლი — ჰადერსფილდი 4:2; ბორნმუთი — შეფილდ უენსდი 1:1; ბრისტოლი — ბრედფორდი 0:0; ჰალი — პიტერბრო 2:2; ლუტონი — სტოკპორტი 3:0; დონსი — კოლჩესტერი 2:0; ოლდემი — დონკასტერი 1:2; პორტ ვეილი — ბრენტფორდი 0:1; სუინდონი — ბლეკპული 2:2; ტორკი — ჰარტლპული 1:2; უოლსოლი — ჩესტერფილდი 3:0; რექსემი — ტრანმერი 1:5

მეორე ლიგა

XXVIII ტური

კემბრიჯი — ჩესტერი 0:0; ჩელტენემი — რაშდენი 4:1; ლეიტონი — გრიმსბი 1:2; ლინკოლნი — როუერსი 1:1; მაკლსფილდი — კიდერმინსტერი 2:0; ნორთჰემპტონი — დარლინგტონი 1:1; ოქსფორდი — იოვილი 2:1; როჩდეილი — მენსფილდი 1:1; სკანთორპი — ბერი 3:2; შრიუსბერი — ბოსტონი 0:0; საუთენდი — ნოტსი 0:0; სუონსი — უიკომბი 2:2

ჩემპიონატი

XXIX ტური

ბარნლი 0:0 რედინგი

ჯილინგემი 1:0 პლიმუთი

1:0 კროფტსი (61)

იფსვიჩი 3:2 ძოვენთრი

0:1 ჯონი (12), 1:1, 2:1 დ. ბენტი (45, 59), 2:2 მაკშეფრი (61პ), 3:2 კუეი (77)

ლიდსი 1:1 კარდიფი

1:0 უოლტონი (14), 1:1 ტორნი (52პ)

ნოტინგემი 1:2 მილუოლი

0:1 ჰეილსი (11), 0:2 დანი (37), 1:2 კომონსი (87)

პრესტონი 1:1 ლესტერი

0:1 კონოლი (25), 1:1 მაკკენა (64)

როტერჰემი 0:2 უიგანი

0:1 ტილი (69), 0:2 რობერტსი (90)

შეფილდ იუნ. 1:2 ბრაიტონი

0:1 კარპენტერი (45), 1:1 მაიო (59ს.კ.), 1:2 ნაითი (90)

უოტფორდი 3:1 ძრიუ

1:0, 2:0 ჰელგუსონი (9, 29), 3:0 დემერიტი (46), 3:1 ვერნი (68)

ვულვერჰემპტონი 4:2 ვესტ ჰემი

1:0 მილერი (29), 1:1 ზამორა (36), 2:1 მილერი (54), 2:2 ზამორა (57), 3:2 ინსი (72), 4:2 კორტი (75)

ძუინზ პარკი 1:0 სტოკი

1:0 კუკი (18)

დერბი ძაუნთი 0:2 სანდერლენდი

0:1 ს. ელიოტი (51), 0:2 უოტიჰედი (66)

იფსვიჩი	29	17	7	5	55:36	58
უიგანი	29	16	8	5	51:20	56
სანდერლენდი	29	16	5	8	42:26	53
რედინგი	29	14	7	8	36:26	49
შეფილდი	29	13	9	7	39:36	48
მილუოლი	29	13	6	10	34:27	45
ვესტ ჰემი	29	13	6	10	39:37	45
პრესტონი	29	12	7	10	39:40	43
დერბი ქაუნთი	29	12	6	11	39:37	42
ბარნლი	27	10	10	7	23:21	40
ქუინზ პარკი	29	12	4	13	37:41	40
ქრიუ	28	11	6	11	49:49	39
სტოკი	29	10	8	11	18:21	38
ლიდსი	29	9	10	10	34:32	37
უოტფორდი	29	8	12	9	34:32	36
ლესტერი	28	8	12	8	29:27	36
ბრაიტონი	29	10	6	13	24:36	36
ვულვზი	29	8	11	10	40:40	35
პლიმუთი	29	9	6	14	33:40	33
ქოვენთრი	29	8	8	13	36:47	32
კარდიფი	29	7	10	12	31:35	31
ჯილინგემი	29	8	5	16	28:47	29
ნოტინგემი	29	5	9	15	28:45	24
როტერჰემი	29	3	10	16	22:42	19

აბერდინს გოლი დააკლდა

აბერდინი — სელტიკი. სტუმარმა სტილიან პეტროვმა მეტოქე ბურთთან არ მიუშვა

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXII ტური

რეინჯერსი 3:0 დანფერმლაინი

1:0 ტომპსონი (6), 2:0 ენდრიუსი (39), 3:0 რაე (64)

რეინჯერსი: შ. კლოსი, მ. როსი, მალკოლმი, მ. ენდრიუსი, ვინალი, ნამუში (ბარკი 66), რიკსენი, ა. რაე, ჯორდიჩი (ბოლი 79), ს. ტომპსონი, ბუფელი (ს. ჰიუზი 83)

ზურაბ ხიზანიშვილი სათადარიგო იყო, შოთა არველაძე ტრავმირებულია

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: რიჩმონდი

48 055 მაყურებელი

აბერდინი 0:1 სელტიკი

0:1 კ. სატონი (24)

დანდი 3:1 ინვერნესი

1:0 რობი (28), 2:0 მაკმანუსი (48), 3:0 ა. სატონი (56პ), 3:1 ბრიუვსტერი (90)

კილმარნოკი 2:0 მოზერუელი

1:0, 2:0 ბოიდი (1, 44)

ლივინგსტონი 0:2 ჰიბერნიანი

0:1 ოკონორი (53), 0:2 რიორდანი (74)

ჰარტსი 3:2 დანდი იუნ.

0:1 რობსონი (19), 1:1 პრესლი (44), 2:1 მილერი (49), 2:2 არჩიბალდი (53), 3:2 ბარტლი (86)

„რეინჯერსი" გუშინწინდელი მოგებით „სელტიკს" ქულებით ერთი დღით გაუთანაბრდა. კვირას კი „თეთრ-მწვანეებმა" სტუმრად ედინბურგში იმარჯვეს და კვლავ სამი ქულით დაუსხლტდნენ თანაქალაქელებს.

„ჩაფრებმა" „დანფერმლაინთან" მეექვსე წუთზევე გახსნეს ანგარიში. მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი სტუმარმა სკერლმა უშნოდ მოიგერია და ტომპსონმა შეცდომისთვის გოლით დასაჯა. პირველი ტაიმის მიწურულს დამხვედურებმა ნაკუთხურალზე იხეირეს — მარვინ ენდრიუსმა ფერნანდო რიკსენის პასით მეორე გაუტანა მეტოქეს, ხოლო ალექს რაემ „რეინჯერსის" მაისურით პირველი, ამ შეხვედრაში კი მესამე გოლი მოითვალა. აღსანიშნავია, რომ „დანფერმლაინს" „აიბროქსზე" 1972 წლის აპრილის შემდეგ არ მოუგია. ნამატჩევს ალექს მაკლიში კმაყოფილი იყო და თქვა, ფერნანდო რიკსენი წლის საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებულ ჯილდოს იმსახურებსო. „სელტიკმა" კი კრის სატონის გოლით მოიგო. სატონის დარტყმული ბურთი გზად მცველს შეეხო და გეზნაცვალი კარში შეკვარდა. „აბერდინს" უკვე 43 წუთია, გოლი არ გაუტანია.

ვაძა ხუციშვილი

სელტიკი	22	18	2	2	50:19	56
რეინჯერსი	22	16	5	1	46:10	53
ჰიბერნიანი	22	12	4	6	38:29	40
აბერდინი	22	10	6	6	23:20	36
ჰარტსი	21	8	7	6	23:19	31
მოზერუელი	22	9	3	10	28:29	30
კილმარნოკი	22	9	2	11	31:36	29
დანფერმლაინი	22	5	5	12	20:33	20
ინვერნესი	22	4	7	11	21:34	19
დანდი	22	5	4	13	23:42	19
დანდი იუნ.	22	3	7	12	22:37	16
ლივინგსტონი	21	4	4	13	17:34	16

I დივიზიონი

XXIII ტური

ერდრი — როსი 2:1; ჰამილტონი — კლაიდი 0:1; პარტიკი — ქუინი 3:1; რეითი — სენტ მირენი 2:0; სენტ ჯონსტონი — ფოლკირკი 0:3

II დივიზიონი

XXI ტური

ალოა — ეარი 5:1; ბერვიკი — დამბარტონი 0:3; ფორფარი — სტირლინგი 4:1; მორტონი — არბროთი 2:0; სტრანრარი — ბრეჩინი 0:1

III დივიზიონი

XX ტური

ისტ სტირლინგი — ელგინი 0:3; გრეტნა — კოუდენბითი 2:0; მონტროუზი — ალბიონი 0:1; პიტერჰედი — ისტ ფაიფი 0:0; სტენჰაუზმური — ქუინზ პარკი 0:0

REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — მანჩესტერ იუნ. სადგიუტო მატჩში ფერნანდო მორიენტესმა თავი გოლით ვერ გამოიჩინა

ლემანი წასვლას არ ჩქარობს

ამ ბოლო დროს „არსენალის" თამაშებს თუ უყურებთ, შენიშნავდით, რომ „მეთოფეთა" კარს მანუელ ალმუნია იცავს. არსენ ვენგერს ძველი ფავორიტი, გერმანელი იენს ლემანი კი სათადარიგოთა სკამს ხეხავს. ამის გამო ხმებიც აგორდა, ლემანი კლუბის გამოცვლაზე ფიქრობსო, თუმც კი კონტრაქტი 2006 წელს ეწურება. ხოლო როგორი ვითარებაა სინამდვილეში, ამის გაგება პირველწყაროდან, იენს ლემანისგან ჯობს

„არსენალში" კონტრაქტის ამოწურვამდე დავრჩები და ბოლომდე ვიშრომებ, ძირითად შემადგენლობაში ადგილი რომ დავიბრუნო და საერთოდ, ძალიან დიდი შანსია, „არსენალში" კიდევ რამდენიმე წლით დავრჩე. ახლა საქმეები ისე არ მიდის, მე როგორც მინდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველაფერი მალე გამოსწორდება".

შეგახსენებთ, რომ ლემანმა ალმუნიას ადგილი ნოემბრის ბოლოს გაუცვალა.

„არსენ ვენგერმა ჩემზე ორჯერ თქვა, წასვლა უნდაო. ეს ასე არ არის და ვფიქრობ, ყველა მიხვდება თუ რატომ ამბობს ვენგერი ჩემზე ამას. სამწუხაროდ, „არსენალში" გოლის გაშვება ყოველთვის მეკარეს ბრალდება-ხოლმე. არადა, მითხარით, რაში ვარ დამნაშავე? დამისახელეთ მეკარე, რომელსაც კარიერაში არასდროს დაუშვია თუნდაც უმნიშვნელო შეცდომა. მეეჭვება, რომ შეძლოთ. ამდენად, მე ძალიან გაოცებული დავრჩი, როცა შემადგენლობაში ადგილი დავკარგეკი, ზოგიერთი გოლისას, შეიძლება ითქვას, რომ აღება შემეძლო და გუნდი ვერ გადავარჩინე, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ არცერთი უხეში შეცდომა არ დამიშვია. მართალია, რამდენჯერმე ბურთი არასწორად მოვიგერიე, მაგრამ ეს ჩემი რისკიანი თამაშის გამო მომხდარა და არა იმიტომ, რომ მოგერიება არ ვიცი. ჩემს თავში ეჭვი არ მეპარება და იცით, რატომ? წინა სეზონში ჩემპიონები ისე გავხდით, ერთი თამაშიც არ წაგვიგია. ამაში ხომ სხვებთან ერთად მეკარის დამსახურებაცაა. იმასაც გულახდილად გეტყვით, რომ საკუთარ თავს პრემიერლიგის მეკარეთა შორის საუკეთესოდ ვთვლი. თუ გნებავთ, დაითვალეთ თითოეული მეკარის შეცდომები, გაყავით თამაშების რაოდენობაზე და თავად ნახავთ, საშუალოდ ერთ მატჩში კინ უშვებს ყველაზე ნაკლებ შეცდომებს.

ძოტე ძეგელია

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

მგლოვიარე ტური



ვალენსიელი ფაბიო აურელიო თანაგუნდელ მარკუ კანეირას შვილს გლოვობს

ესპანეთი

პრიმერა დივიზიონი
XIX ტური

ბარსელონა 1:0 სოსიედადი

1:0 ეტოო (80)

ეტოომ ჯერ გაიტანა პენალტი (5, ძელი)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი (სილვინიო 60), ვან ბრონკჰორსტი, ხავი, მარკესი, ინიესტა, ჟიული, რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

სოსიედადი: რიესგო, ლუის ალბერტო, ლაბაკა, ლოპეს რეკარტე, არანბურუ, გაბილონდო (გარი ურანგა 79), ალკისა (ლარეა 85), გარიდო, მიკელ ალონსო, ხ. პრიეტო, კოვაჩევიჩი (ნიჰათი 67)

მწვრთნელი: ხოსე ამორორტუ

გაფრთხილება: მიკელ ალონსო, გარიდო, ვან ბრონკჰორსტი, პრიეტო, პრიეტო, არანბურუ

გაძევება: პრიეტო (61)

მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო

77 000 მაყურებელი

რეალი 3:1 სარაგოსა

0:1 ვილა (21), 1:1 რაული (42), 2:1 რონალდო (52), 3:1 ოუენი (84)

რეალი: კასილიასი, სალგადო, ი. ელგერა, ჟ. სამუელი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (გრავესენი 67), ბეკჰემი (სელადესი 86), სოლარი, ზიდანი, რაული, რონალდო (ოუენი 66)

მწვრთნელი: ვანდერლეი ლუშემბურგო

სარაგოსა: ლუისი, ალვარო, ტოლედო, სესარი (არანსაბალი 22), ჩანი (გალეტი 73), სავიო, პონციო, ოსკარი, მოვილია, საპატერი (კუარტერო 59), ვილა

მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი

გაფრთხილება: პონციო, სამუელი, ალვარო, ალვარო, ფიგუ, სალგადო

გაძევება: ალვარო (52)

მსაჯი: ლოსანტოს ომარი

75 000 მაყურებელი

ოსასუნა 0:0 ვალენსია

ოსასუნა: ელია, ისკიერდო, კლავერო, კრუჩაგა, ხოსეჩო, პაბლო გარსია, პუნიალი, მოა, ვალდო, ვებო (მუნიოსი 73), ჩენგე მორალესი (მილოშევიჩი 66)

მწვრთნელი: ხავიერ აგირე

ვალენსია: კანისარესი, რ. აიალა, მარჩენა, კარბონი, მორეტი, ალბელდა, ბარახა, რუფეტე (მისტა 80), კორადი, ხისკო (ფ. აურელიო 61), აიმარი (ფიორე 72)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: მორეტი, ალბელდა, კლავერო, კორადი, ისკიერდო, აიალა, პუნიალი, ისკიერდო, მისტა

გაძევება: ისკიერდო (66)

მსაჯი: გონსალეს ვასკესი

18 000 მაყურებელი

დეპორტივო 1:1 ნუმანსია

1:0 პანდიანი (76), 1:1 მერინო (80)

დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, რომერო, სესარი, ჟორჟე ანდრადე, დუშერი, სერხიო, ვალერონი (პანდიანი 72), ტრისტანი (ვიქტორი 46), მუნიტისი (ფრანი 46), ლუკე

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

ნუმანსია: ა. ნუნიესი, გრაფი, პინიოლი, ოჩოა, ანტონიო, ხაიმე მოლინა, პაბლო სასსი (ხუან პაბლო 49), ხუანლუ, ტევენეტი (მიგელი 88), სილვიო (მერინო 57), პინედა

მწვრთნელი: მაქსიმო ერნანდესი

გაფრთხილება: სესარი, პინედა, დუშერი, ნუნიესი, ფრანი, სესარი, პანდიანი

გაძევება: სესარი (69)

მსაჯი: ფერნანდეს ბორბალანი

20 000 მაყურებელი

ხეტაფე 1:1 ატლეტიკო

0:1 ხორხე (36), 1:1 პაჩონი (64)

ხეტაფე: სანჩეს ბროტო, მ. პერნია, ნანო, რ. პულიდო, ბელენგერი, დ. რივასი, ალბერტო, ვივარ დორადო, მიჩელი (პაჩონი 46; იორდი 71), კრაიოვიანუ (ალბიოლი 80), რიკი

მწვრთნელი: კიკე ფლორესი

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, ანტონიო ლოპესი, გარსია კალვო, პერეა, მოლინერო, მარსელო სოსა (ხორხე 34), გრონკიაერი, იბაგასა, ლუქსენი, ფ. ტორესი, სალვა (პაუნოვიჩი 50)

მწვრთნელი: სეზარ ფერანდო

გაფრთხილება: ანტონიო ლოპესი, პულიდო, პულიდო, გარსია კალვო, სანჩეს ბროტო, პერეა

გაძევება: პულიდო (45)

მსაჯი: რამირეს დომინგესი

14 000 მაყურებელი

ბილბაო 1:1 ესპანიოლი

1:0 იესტე (3), 1:1 მაქსი როდრიგესი (76)

ბილბაო: არანსუბია, კასასი, ორბაისი, მურილიო, იესტე, ირაოლა, გურპეგი, ტიკო (ლაკრუსი 56), ლორენტე, ესკერო, ეჩებერია (იულენ გურერო 84)

მწვრთნელი: ერნესტო ვალვერდე

ესპანიოლი: კამენი, იბარა, დავიდ გარსია, ლოპო, პოჩეტინინო, დე ლა პენია, იტო (მორალესი 86), ამავისკა (მარტინ პოსე 73), მაქსი როდრიგესი, კორო (სოლდევილა 25), ხონათანი

მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა

გაფრთხილება: დავიდ გარსია, იტო

მსაჯი: მუნის ფერნანდესი

35 000 მაყურებელი

ბეტისი 2:0 მალიორკა

1:0, 2:0 ედუ (27, 84)

ბეტისი: დობლასი, ხუანიტო, რივასი, ვარელა, მელი, არზუ, ფერნანდო (ალფონსო 70), კანიასი (ბენჯამინი 89), ხოაკინი, რ. ოლივეირა (ისრაელი 83), ედუ

მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი

მალიორკა: მოია, რამისი, დავიდ კორტესი, პოლი, ბალესტეროსი, დე ლოს სანტოსი, ფარინოსი (ტუნი 59), არანგო, ხორხე ლოპესი, ლუის გარსია (დელიბაშიჩი 78), რომეო

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: ვარელა, კანიასით, დავიდ კორტესი, ხუანიტო, დობლასი

მსაჯი: მეხია დავილა

35 000 მაყურებელი

მალაგა 1:0 სევილია

1:0 ვანჩოპე (66)

მალაგა: არნუ, ვალკარსე, ფ. სასსი, კ. ნავასი, ხუანტო, ხერარდი, ი. ლეკო (უსერო 87), დუდა (ა. გეიხო 88), ხ. როდრიგესი, ამოროზო (ვანჩოპე 57), ედგარი

მწვრთნელი: ანტონიო ტაპია

სევილია: ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, სერხიო რამოსი, აიტორ ოსიო (კარლიტოსი 75), დანიელ ალვესი (ფერნანდო სალესი 70), ბაპტისტა, რენატო, მარტი (ხორდი 46), ანტონიო ლოპესი, მაკუკულა

მწვრთნელი: ხოაკინ კაბაროსი

გაფრთხილება: მარტი, დუდა, ანტონიო ლოპესი, როდრიგესი, გეიხო

მსაჯი: პუენტეს ლეირა

17 000 მაყურებელი

ლევანტე 2:4 ვილიარეალი

0:1 გიარე (3), 0:2 ფორლანი (28), 1:2 რივერა (47), 1:3 ფორლანი (65), 2:3 რეგი (72), 2:4 მარკოს სენა (88)

რეფერმ ჯერ გაიტანა პენალტი (44, მეკარე)

ლევანტე: მორა, ალექსისი (დესკარგა 46), პინილიოსი, ხესულე, კულებარსი, ეტიენი, რივერა, ხოფრე (ხოსე მარი 84)

მწვრთნელი: მანუელ პელეგრინი

გაფრთხილება: არმანდუ სა, ხესულე, გონსალო, ხავი ვენტა, რიკელმე, ფორლანი, ეტიენი, რეგი

მსაჯი: რუბინოს პერესი

20 000 მაყურებელი

ალბასეტე 0:0 რასინგი

ალბასეტე: გასპერჩიჩი, ოსკარ მონტიელი, რუბენი, მარკ გონსალესი, პაკო პენია, ბუადესი, ხაიმე (დავიდ სანჩესი 71), ხ. რედონდო (რუბენ კასტრო 75), ალვარო, პაჩეკო (ფრანსისკო 64), მიკელი

მწვრთნელი: ხოსე გონსალესი

რასინგი: აუატე, ორიოლი, პედრო ლოპესი, მორატიონი, ხუანმა, რეგუერო, პარი (მატაბუენა 83), ტორადო, დ. ანდერსონი, ხავი გერერო (აგანსო 81), ბენაიუნი

მწვრთნელი: ლუკას ალკარასი

გაფრთხილება: რეგუერო, პედრო ლოპესი, ალვარო, პედრო ლოპესი

გაძევება: პედრო ლოპესი (71)

მსაჯი: კარმონა მენდესი

14 000 მაყურებელი

ეს ტური სევდიანი იყო და ფეხბურთელებიც შავი სამკლავურებით გავიდნენ მოედანზე. გუშინ მატჩების დაწყებამდე ცოტაოდენი ხნით ადრე, „ვალენსიას“ პორტუგალიელ მცველ მარკუ კანეირას რვა თვის შვილი დაელუპა. ბავშვს სასუნთქი გზები გადაჭკეტია და საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. იმ დროს პამპლონაში მყოფი ფეხბურთელი „ოსასუნას“ დაქირავებული თვითმფრინავით დაუყოვნებლივ გადაფრინდა ვალენსიაში, თუმცალა გვიან იყო. ერთი პირობა, თამაშის გადადებაც ითქვა, მაგრამ მსაჯებთან მოლაპარაკების მერე მაინც გაიმართა და „ვალენსიას“ ლიდერთან ჩამორჩენა გაეზარდა. სტუმრები ვერც პამპლონელთა მცველის ხოსე ისკიერდოს გაძევებით გამორჩნენ რამეს და ნაღდი მომენტი რასაც ჰქვია, ვერ შექმნეს.

ლიდერმა კი მოიგო, თუმცა ეს გამარჯვება ბლომად ოფლის ღვრად და ნერვიულობად დაუჯდა.

თამაშის მსვლელობა ეგებ სხვაგვარიც ყოფილიყო და კაცნაკლული „სოსიედადი“ აგრერიგ ველარ შეწინააღმდეგებოდა „ბარსელონას“, სამუელ ეტოოს ადრიანი პენალტი რომ გაეტანა. მეოთხე წუთი იყო, როცა ანდრეს ინიესტა მცველთან ჭიდილისას სტუმართა საჯარიმოში წაიქცა, პენალტის შესრულება კი რატომღაც ეტოომ იკისრა. რატომღაცო, ვთქვით — „ბარსელონაში“ პენალტებს ჩვეულებრივ რონალდინიო არტყამს. კამერუნელმა კი ძელს გაარტყა და გოლის გატანა გვარიანი დროით გადადო. საბოლოოდ ეტოომ თამაშის დასრულებამდე შეაგდო „ბარსას“ გამარჯვებისა ხავის ჩაწოდებული კუთხურის მერე, მაგრამ სამართლიანობისთვის ისიც ვთქვათ, ვიქტორ ვალდესის ფანტასტიკური სეივები რომ არა, „ბარსელონას“ ამ მატჩის მოგება გაუჭირდებოდა.

მოიგო „რეალმაც“, თუმცა აგებდა, მერე კი ყველაფერი ლოგიკურად გაგრძელდა და მადრიდელთა სამმა ფორვარდმა — რაულმა, რონალდომ და ოუენმა „სორაგოსა“ სამი საპასუხო გოლით გაისტუმრეს.

ტურის ყველაზე მოულოდნელი შედეგი კი „დეპორტივოს“ ვერმოგება იყო „ნუმანსიასთან“. პრიმერას ბოლოადგილოსანმა პირველი ქულა მოიპოვა სტუმრად, ხოლო „დეპორტივოსთვის“ ეს ზედიზედ მეშვიდე მოუგებელი თამაში იყო.

აქ ანგარიში დიდი ხნის მანძილზე ვერ იხსნებოდა და მასპინძლებმა მხოლოდ მას მერე გაიტანეს, კაცნაკლულნი რომ დარჩნენ. მეორე გაფრთხილებით სესარი მიაბრძანეს. თუმცა პანდიანის გოლიდან ოთხ წუთში სერიელმა ტარლოს მერინომ საჯარიმო მოედნიდან ზუთ მეტრში ძყოფმა ბუთს ისე ამოსცხო, გალისიელებს სიხარული ჩაუმწარა.

„ნუმანსიაზე“ უკეთეს შედეგს მიღწია გასავარდნთა ზონაში მყოფმა კიდევ ერთმა გუნდმა, „მალაგამ“, რომელმაც ლიდერთაგანი „სევილია“ დაამარცხა. ერთადერთი გოლი სტუმართა მცველმა აიტორ ოსიომ საკუთარ კარში ჩაჭრა, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ გოლში მალაგელი პაოლო ვანჩოპეს წვლილიც ძალიან დიდია. სწორედ ვანჩოპემ შეავიწროვა ოსიო იმგვარად, რომ ბურთი თავის კარში დაარტყმევინა. ამგვარად, მალაგელთა ახალი მწვრთნელის, ანტონიო ტაპიას დებიუტი იღბლიანი გამოდგა და თანაც, გამარჯვება გამარჯვებად და „მალაგამ“ მართლაც ხეირიანი ფეხბურთი ითამაშა.

აი, მადრიდის „ატლეტიკოს“ კი არ უმართლებს. წინა ტურში იყო და, უდიდესი უპირატესობის მიუხედავად მადრიდულ დერბიში დამარცხდა. ახლა კი „ხეტაფეს“ უგებდა, მერე მეტოქეს ფეხბურთელი გაუძევეს და „ათლეტებმა“ თამაში გამარჯვებამდე მაინც ვერ მიიყვანეს.

„მალიორკას“ კი, ჩანს, ველარავინ უშველის, რაკი ექტორ რაულ კუპერი ვერ შველის. კუნძულელები „ბეტისთან“ დამარცხდნენ და ეს მათი მიჯრით მეხუთე მოუგებელი თამაში იყო.

კოტე კეკელია

საგუნდადივიზიონი
XX ტური

ლეიდა 5:1 მურსია

1:0 რუბენი (11), 2:0 ესკუდა (16), 2:1 რიჩი (44), 3:1 კატალია (75), 4:1 არნალი (79), 5:1 ნაკორი (89)

ეიბარი 2:1 სელტა

1:0, 2:0 კიკე მატეო (9, 17), 2:1 კანობიო (58)

ალმერია 1:0 უელვა

1:0 ხამელი (89)

ალავესი 1:0 ელჩე

1:0 ნენე (59)

ვალიადოლიდი 0:1 კორდობა

0:1 ჯ. ალვარესი (49პ)

სიუდად მურსია 2:1 სალამანკა

0:1 ხ. აურელიო (21), 1:1 კუევასი (35), 2:1 ლუკე (69)

პონტევედრა 1:1 მალაგა B

0:1 რუბენი (16), 1:1 კაბდევილა (67)

ტერასა 3:2 კადისი

0:1 დე ლა კუესტა (10), 1:1 ხუან კარლოსი (43), 1:2 მანოლო (44პ), 2:2 ხუან კარლოსი (49პ), 3:2 მაიკელი (79)

ხერესი 2:2 ფეროლი

1:0 ლეკიჩი (9), 1:1 მარიო (50), 2:1 ლეკიჩი (60), 2:2 გრანონი (67)

ხიმნასტიკი 1:0 სპორტინგი

1:0 პინილია (76პ)

ტენერიფე 1:1 პოლი ეხიდო

0:1 ვუჩკო (43), 1:1 კიკო (77)

კადისი	20	12	4	4	34:13	40
ალავესი	20	11	6	3	34:21	39
ელჩე	20	10	4	6	28:21	34
ეიბარი	20	10	4	6	26:21	34
ვალიადოლიდი	20	9	6	5	29:22	33
სელტა	20	8	9	3	27:20	33
ხიმნასტიკი	20	9	5	6	20:18	32
ფეროლი	20	7	10	3	28:18	31
უელვა	20	8	6	6	18:13	30
ლეიდა	20	8	4	8	24:24	28
ხერესი	20	7	7	6	18:19	28
ალმერია	20	7	6	7	18:16	27
სპორტინგი	20	7	6	7	19:18	27
ტენერიფე	20	6	9	5	23:25	27
პოლი ეხიდო	20	6	7	7	21:21	25
ტერასა	20	7	3	10	24:29	24
მალაგა B	20	6	6	8	19:25	24
სალამანკა	20	5	5	10	24:30	20
მურსია	20	5	4	11	15:30	19
სიუდად მურსია	20	3	9	8	23:34	18
პონტევედრა	20	2	7	11	18:34	13
კორდობა	20	2	3	15	8:26	9

	სულ							შინ							სტუმრად						
№	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ	თ	მ	ფ	წ	ბ	ს	ქ
1 ბარსელონა	19	14	3	2	36:14	22	45	10	9	1	0	23:4	19	28	9	5	2	2	13:10	3	17
2 რეალი	19	12	2	5	32:14	18	38	10	8	0	2	21:5	16	24	9	4	2	3	11:9	2	14
3 ვალენსია	19	10	6	3	29:13	16	36	10	7	2	1	17:6	11	23	9	3	4	2	12:7	5	13
4 ესპანიოლი	19	10	4	5	23:14	9	34	9	6	2	1	13:6	7	20	10	4	2	4	10:8	2	14
5 სევილია	19	9	5	5	21:19	2	32	9	7	2	0	14:4	10	23	10	2	3	5	7:15	-8	9
6 ბეტისი	19	8	6	5	24:21	3	30	10	6	3	1	15:11	4	21	9	2	3	4	9:10	-1	9
7 ვილიარეალი	19	7	7	5	28:16	12	28	9	5	3	1	15:2	13	18	10	2	4	4	13:14	-1	10
8 ოსასუნა	19	8	4	7	28:29	-1	28	10	6	3	1	19:10	9	21	9	2	1	6	9:19	-10	7
9 ბილბაო	19	7	5	7	26:22	4	26	10	6	3	1	18:8	10	21	9	1	2	6	8:14	-6	5
10 ატლეტიკო	19	7	5	7	19:18	1	26	9	6	2	1	12:7	5	20	10	1	3	6	7:11	-4	6
11 სარაგოსა	19	7	4	8	26:29	-3	25	9	6	0	3	17:12	5	18	10	1	4	5	9:17	-8	7
12 დეპორტივო	19	5	9	5	25:28	-3	24	10	2	5	3	13:18	-5	11	9	3	4	2	12:10	2	13
13 სოსიედადი	19	6	4	9	22:24	-2	22	9	4	2	3	9:10	-1	14	10	2	2	6	13:14	-1	8
14 ლევანტე	19	6	3	10	21:30	-9	21	9	4	2	3	11:10	1	14	10	2	1	7	10:20	-10	7
15 ხეტაფე	19	5	5	9	17:22	-5	20	10	5	1	4	12:10	2	16	9	0	4	5	5:12	-7	4
16 ალბასეტე	19	4	8	7	17:24	-7	20	10	2	5	3	6:8	-2	11	9	2	3	4	11:16	-5	9
17 რასინგი	19	5	5	9	17:26	-9	20	9	3	4	2	11:10	1	13	10	2	1	7	6:16	-10	7
18 მალაგა	19	5	3	11	14:29	-15	18	10	4	2	4	10:13	-3	14	9	1	1	7	4:16	-12	4
19 მალიორკა	19	3	5	11	17:32	-15	14	9	1	3	5	11:16	-5	6	10	2	2	6	6:16	-10	8
20 ნუმანსია	19	3	5	11	12:30	-18	14	9	3	4	2	8:9	-1	13	10	0	1	9	4:21	-17	1

ბომბარდირები

ეტოო (ბარსელონა)	14
რონალდო (რეალი)	11
ფორლანი (ვილიარეალი)	11
მაქსი როდრიგესი (ესპანიოლი)	9
რ. ოლივეირა (ბეტისი)	9

XX ტური

22-23 იანვარი

ბილბაო	:	ოსასუნა
ლევანტე	:	სოსიედადი
ბარსელონა	:	რასინგი
ალბასეტე	:	სევილია
მალაგა	:	ატლეტიკო
ხეტაფე	:	სარაგოსა
რეალი	:	მალიორკა
ბეტისი	:	ნუმანსია
დეპორტივო	:	ესპანიოლი
ვილიარეალი	:	ვალენსია

ისტრს ორთავიანი შემრგო

ჰალილჰოჯიჩს აქანდაზი გაუმზადეს



„ქაენს“ ხავიერ სავიოლამაც (№9) გაუტანა

ჩაშლილი „პანიონიოს“ — „ოლიმპიაკოსი“ სასამართლოში გაარჩევს

ქულები და ფულები ჩხუბისთვის

საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „პანიონიოსს“ და „ოლიმპიაკოსს“ სამ-სამი ქულა დააკლო. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ ათენში ამ გუნდების შეხვედრა არ შედგა, რადგან ჯერ სტადიონთან, შემდეგ კი მოედანზე გულშემატკივარებმა ჩხუბი ატეხეს. სტუმრებს, „ოლიმპიაკოსის“ ქომაგებს, მათთვის განკუთვნილი ბილეთების რაოდენობა ეკოტავათ და თავ-პირის მტრევა ამიტომ დაიწყო. 14 პოლიციელი და რამდენიმე მოჩხუბარი დაიჭრა, მატჩი კი, ცხადია, ჩაიშალა.

საქმის გარკვევა ოთხი დღის წინ უნდა შემდგარიყო, მაგრამ გადაიდო, რადგან ვიღაცამ დარეკა, შენობაში ბომბიაო. ბომბი ვერ იპოვეს, მერე კი საქმე განიხილეს და ორივე კლუბს მსუყე ჯარიმა აკრეს. „ოლიმპიაკოსი“ 300 ათას ევროს გადაიხდის და ოთხ საშინაო თამაშს უგულშემატკივროდ ითამაშებს. ამდენივე მატჩის ცარიელი ტრიბუნების წინ გამართვა მოუწევს „პანიონიოს“ და 100 ათას ევროსაც შეელევა.

„ოლიმპიაკოსის“ განრისხებული ფანები 15 ათასი მხარდამჭერის შეგროვებით და პირეოსის პორტის ბლოკადით იმუქრებიან.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი

I დივიზიონი. XXI ტური

ოსერი 2:0 სოშო

1:0 აკალე (67), 2:0 პიერონი (84)

აიაჩიო 1:0 ბასტია

1:0 სეკი (43)

ბორდო 1:3 ლილი

0:1 დებუში (1), 0:2 ბრუნელი (44), 0:3 ოდელი (81), 1:3 შამახი (85)

ლანსი 0:1 ისტრი

0:1 საიფი (20)

ლიონი 2:0 მეცი

1:0 ჟუნინიო პერნამბუკანო (84), 2:0 ბერგონო (87)

მონაკო 5:2 კაენი

1:0 კალონი (7), 1:1 ვატიე (33), 2:1 მაიკონი (36), 3:1 სავიოლა (42), 4:1 კალონი (50პ), 5:1 პლასილი (80), 5:2 მაზური (90)

ნანტი 2:0 რენი

1:0 კესერუ (30), 2:0 სავინო (62პ)

პსჟ 0:0 ტულუზი

სტრასბური 1:1 სენტ ეტიენი

1:0 ნიანგი (9), 1:1 ონონი (32)

მარსელი 2:0 ნიცა

1:0, 2:0 ლუინდულა (3, 14)

„ლიონმა“ გვიანი გოლებით მოუგო „მეცს“ და წაუგებელ სვლას აგრძელებს.

სტუმრები გვარიანად გაუძალიანდნენ ძლიერ მეტოქეს და მასპინძელთა მწვრთნელი პოლ ლე გუენი ანერვიულეს. ანგარიში ჟუნინიომ გახსნა, ხოლო ყმაწვილმა ბერგონომ უმალ მეორე მიაყოლა.

ლიონელებმა მდევართან ქულათა სხვაობა ვერ გაზარდეს, რადგან მდევარმა „ლილმა“ სტუმრად „ბორდოს“ სძლია. ეს ბორდოელთა საამსეზონო მესამე მარცხი გამოდგა. ლილელმა კრისტოფ ლანდრინმა ორი საგოლე პასი მიითვალა. ჯერ დებუში ახეირა, მერე კი — ფილიპ ბრუნელი. მეორე ტაიმის ბოლოს მასპინძელი მცველის, აფანუს შეცდომით იოან ოდელმა ისარგებლა, ხოლო მარუან შამახმა ერთის გაქვითვა მოახერხა.

„სოშოს“ მეკარე ტედი რიშერმა „ოსერთან“ პირველ ტაიმში სასწაულები ჩაიდინა, მაგრამ მეორეში ორი გოლი მაინც გაუშვა. ფილიპ ვიოლოს ჩაწოდებული ბურთი კანგა აკალემ გაუტანა რიშერს, შემდეგ კი სოშოელებს დიავარა გაუძეველ და ლუიჯი პიერონიმ თავური დარტყმით ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა.

„მონაკო“ მოჰამედ კალონმა მეშვიდე წუთზევე დააწინაურა, მაგრამ სირილ ვატიემ ბრწყინვალედ შესრულებული საჯარიმოთი გაქვითა. ამის მერე გოლები მონაკოელებს გაჰქონდათ. დუგლას მაიკონმა ოცდაათიოდ მეტრიდან გაისროლა საგოლედ, მერე ხავიერ სავიოლამაც გაიხარა, ხოლო შესვენების შემდეგ კალონის პენალტს იაროსლავ პლასილმა მეხუთე მიაყოლა. სებასტიან მაზურმა თამაშის მიწურულს მასპინძლებს მეორე გაუტანა.

ორმწვრთნელიანმა „ისტრმა“ სეზონში მეორე მატჩი მოიგო და ეს გამარჯვება მით უფრო ძვირფასია, რომ „ლანსს“ სტუმრად ავჯობა.

კორსიკულ დერბიში „აიაჩიომ“ მოიგო. მასპინძელ ედსონს მეოთხე წუთზევე შეეძლო თავისიანების დაწინაურება, მეკარესთარ პირისპირ გავიდა, მაგრამ პენეტომ იყოჩალა, მერე კი რობინის დარტყმულ ბურთი „ბასტიას“ კარის ჩარჩოს მოხვდა. მეოცე წუთზე ანგარიში მამადუ სეკმა გახსნა და სტუმართა არაერთი მცდელობის მიუხედავად, ბასტილიელები დამარცხდნენ.

ნანტელებმა „რენს“ სძლიეს და ორი საფეხურით აინაცვლეს. კლაუდო კასერუმ თამაშის დაწყებიდან ნახევარ საათში ოცდაათიოდ მეტრიდან საგოლედ დაჰკრა, მეორე ტაიმში კი „რენის“ მეკარე ისაკსონმა იაპი ლაპო წაქცია და პენალტი ნიკოლა სავინომ გამოიყენა.

„სენტ ეტიენმა“ წაუგებელ მატჩთა სერია სტრასბურში ნათამაშევი ფრით ცხრამდე გაზარდა, ხოლო პსჟ-მ ვერ მოუგო „ტულუზს“ და ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი პარიზული გუნდის ქომაგებმა ისევ აქანდაზზე შესვეს.

ვაჟა ხუციშვილი

ლიონი	21	12	9	0	27:8	45
ლილი	21	11	6	4	27:14	39
მონაკო	21	9	9	3	30:20	36
ოსერი	21	10	5	6	28:20	35
მარსელი	21	10	5	6	26:19	35
ტულუზი	21	8	8	5	23:17	32
ბორდო	21	5	13	3	25:16	28
სენტ ეტიენი	21	6	10	5	27:20	28
პსჟ	21	6	10	5	23:22	28
სოშო	21	7	6	8	24:23	27
ნიცა	21	6	8	7	27:30	26
რენი	21	7	5	9	20:25	26
მეცი	21	6	8	7	18:28	26
ლანსი	21	5	10	6	21:21	25
ნანტი	21	5	7	9	18:22	22
სტრასბური	21	4	8	9	19:28	20
კაენი	21	4	8	9	17:35	20
აიაჩო	21	3	10	8	17:24	19
ბასტია	21	4	6	11	14:26	18
ისტრი	21	2	9	10	11:24	15

II დივიზიონი. XXI ტური

ანჟე — დიჟონი 2:2; კლერმონი — ლე ავრი 0:1; კრეტეი — გენიონი 3:0; გენგამი — სედანი 4:0; ლორიანი — მონპელიე 1:2; ნიორი — ბრესტი 1:1; რეიმსი — ლე მანი 0:1; ტროა — ლავალი 0:2; ნანსი — შატორუ 1:1. *ამიენი — გრენობლი დღეს გაიმართება*

ნანსი	21	12	4	5	30:19	40
სედანი	21	9	6	6	20:20	33
მონპელიე	21	9	5	7	22:17	32
ტროა	21	9	5	7	33:30	32
ლე მანი	21	9	5	7	22:19	32
გენიონი	21	7	10	4	17:14	31
შატორუ	21	6	12	3	25:20	30
ბრესტი	21	7	9	5	23:23	30
გენგამი	21	8	5	8	28:26	29
დიჟონი	21	7	8	6	23:21	29
ლავალი	21	8	5	8	24:25	29
რეიმსი	21	7	7	7	21:27	28
გრენობლი	20	6	8	6	26:26	26
ამიენი	20	6	8	6	18:18	26
ლორიანი	21	8	2	11	27:31	26
კლერმონი	21	5	9	7	25:24	24
ლე ავრი	21	6	5	10	14:19	23
ანჟე	21	4	9	8	20:24	21
კრეტეი	21	5	6	10	19:23	21
ნიორი	21	6	2	13	20:31	20

კორსიკულ დერბიში „ბასტია“ დაეცა

საბერძნეთი

ერროვნული ლიგა. XV ტური

აპოლონი — აეკ 2:1; ეგალეო — პაოკ 2:1; ხალკიდონა — კერკერა 0:0; პანათინაიკოსი — ოფი 5:1; ერგოტელისი — პანიონიოსი 0:3; არისი — კალითეა 2:2; ოლიმპიაკოსი — ირაკლისი 1:0. *ქსანთი — იონიკოსი დღეს გაიმართება*

პანათინაიკოსი	15	10	2	3	27:8	32
ოლიმპიაკოსი	15	10	3	1	28:7	30
აეკ	15	8	6	1	22:11	30
ქსანთი	14	6	5	3	20:17	23
ეგალეო	15	4	9	2	14:12	21
ხალკიდონა	15	5	5	5	16:15	20
ოფი	15	5	4	6	22:23	19
პაოკ	15	5	4	6	21:23	19
კალითეა	15	4	5	6	22:24	17
პანიონიოსი	15	5	4	5	11:12	16
არისი	15	2	9	4	12:16	15
ირაკლისი	15	4	3	8	13:19	15
იონიკოსი	14	4	3	7	10:19	15
ერგოტელისი	15	4	2	9	13:26	14
კერკერა	15	3	4	8	10:18	13
აპოლონი	15	3	4	8	12:23	13

„ოლიმპიაკოსს“ და „პანიონიოსს“ დაკლებული აქვთ 3-3 ქულა

ბელგია

უმაღლესი ლიგა. XVIII ტური

ლუვიე 0:0 შარლერუა

ანდერლეხტი 2:0 მუსკრონი

1:0 დინდანე (18), 2:0 ვანდერეგე (88)

ბრიუგე 3:1 ბეევერენი

1:0 ბლონდელი (7), 2:0 ლანგე (33), 2:1 სანოგო (40), 3:1 ბ. ვან დერ ჰიდენი (75)

ბეერსხოტი 0:0 გენტი

ლოკერენი 4:0 სერკლ ბრიუგე

1:0 ბანკე (61), 2:0 ჰენდრიქსი (73), 3:0, 4:0 ბანკე (80, 83)

მონსი 4:1 სენტ ტრუიდენი

1:0, 2:0 გუსე (47, 50), 2:1 გუსენსი (79), 3:1 ალიუ-დატი (87), 4:1 შასენსი (89)

გენკი 3:1 ბრიუსელი

1:0, 2:0 ვანდენბერგი (41, 43), 3:0 სოტერსი (69), 3:1 მოსკატელი (85)

სტანდარდი 4:1 ლიერსი

1:0 სერჟიუ კონსეისაუ (39), 2:0 ფასოტი (47ს.კ.), 3:0 სერჟიუ კონსეისაუ (52), 4:0 ბანგურა (68), 4:1 ა. ტომპსონი (84)

ვესტერლო 2:0 ოსტენდე

1:0 დელენი (36), 2:0 მენე (41)

ბრიუგე	18	15	2	1	48:10	47
ანდერლეხტი	17	13	1	3	37:10	40
შარლერუა	18	10	4	4	24:19	34
სტანდარდი	18	10	3	5	32:21	33
გენკი	18	9	6	3	26:18	33
ლუვიე	18	9	3	6	28:17	30
გენტი	18	9	3	6	26:23	30
ლოკერენი	18	7	5	6	22:21	26
ვესტერლო	18	8	2	8	19:27	26
ლიერსი	18	7	3	8	31:32	24
ბეევერენი	18	6	4	8	24:24	22
მუსკრონი	18	6	3	9	26:25	21
ბეერსხოტი	18	6	3	9	17:16	21
სერკლი	18	6	2	10	26:47	20
სენტ ტრუიდენი	18	4	4	10	18:31	16
ბრიუსელი	18	4	2	12	18:38	14
მონსი	17	2	3	12	18:35	9
ოსტენდე	18	1	5	12	15:37	8

მეორე კლასი. XIX ტური

დესელი — ანტვერპენი 2:1; დაინცე — ვარეგემი 1:1; ჰეუსდენი — ეუპენი 0:4; გირტრუნი — ვაასლანდი 0:1; ბელსტი — რუზელარე 0:0; ვიგორი — სენტ ჟილი 0:0; კორტრაიკი — პატრო 1:1; რონსი — გენელი 1:3; ტუბიცე — ვიზეტი 3:1

ამხანაგური მატჩები

ვერდერი (გერმანია) 6:5 ტრაბზონსფორი (თურქეთი)

შალკე (გერმანია) 0:1 გალათასარაი (თურქეთი)

ფენერბაჰჩე (თურქეთი) 2:1 პერუჯა (ბოლანდია)

კრილია სოვეტოვი (რუსეთი) 1:1 [illegible] (ბოლანდია)

ბარსა არგენტინელებს არ დაიბრუნებს

ხუან რომან რიკელმე ლუდოვიკო ჟიულის თანაგუნდელი ვეღარ გახდება

ხუან რომან რიკელმე და ხავიერ საგიოლა „ბარსელონაში“ აღარ დაბრუნდებიან. პოლანდიელ მწვრთნელ ფრანკ რაიკარდის სამომავლო გეგმებში არც ერთი ხსენებული არგენტინელი არ შედის

„ბარსას“ თავკაცის აზრით, ისინი კატალონიური გრანდის საგუნდო ფილოსოფიას ვერ შეეწყობიან და არც რონალდინიოს, ეტოოს, დეკოსა და ხავისაგან შემდგარ ნახევარდაცვა-თავდასხმის ხაზს სჭირდება მათი შემატება.

შეგახსენებთ, რომ ხუან რომან რიკელმე „კამპ ნოუზე“ ორი წლის წინ გამოჩნდა და მაშინდელ პრეზიდენტ გასპართან 5-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მაგრამ რიკელმემ „ბარსელონაში“ მხოლოდ ერთი წელი ითამაშა. არგენტინელს საქმეები თავიდანვე ცუდად წაუვიდა და მწვრთნელად ლუის ვან გაალის მოსვლამაც ვერ უშველა. რიკელმე „ბოკა ხუნიორსიდან“ 11 მილიონ ევროდ გადაიყვანეს, თუმცა ერთი წლის შემდეგ ახალმა დამრიგებელმა რაიკარდმა „კამპ ნოუზე“ ადგილი ვეღარ გამოუძებნა და ორწლიანი იჯარით „ვილიარეალში“ გაამწესა. რაიკარდის ყოფილ მოწაფეს „ვილიასთან“ კონტრაქტი წლეულს ეწურება და იქაურებიც ჯამაგირის 30 პროცენტს უხდიან — დანარჩენი 70 პროცენტი კი კვლავ „ბარსას“ აკისრია. ანუ ფეხბურთელის 4,9-მილიონიანი ხელფასიდან 3,5 მილიონს „ბარსა“ იხდის. რიკელმე დღეს „ვილიას“ გამოკვეთილი ლიდერია და „მადრიგალიდან“ წასვლა მის გეგმებშიც არ შედის — „რიკელმე არსად წასვლას არ აპირებს, იგი ისევ ჩვენთან დარჩება“ — აღნიშნა „ვილიარეალის“ მწვრთნელმა მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ.

ხავიერ საგიოლამ კი „ბარსას“ შემადგენლობაში სამ სეზონში 60 გოლი გაიტანა. თავის დროზე „ბაჭიას“ „კამპ ნოუზე“ მიყვანა თითქმის 36 მილიონი ევრო დაჯდა, მაგრამ მასაც „მონაკოდან“ კატალონიაში დაბრუნების ნაკლები შანსი აქვს. „ბაჭიას“ „ბარსა“ ჯამაგირის 30 პროცენტს უხდის, რაც წლიურად მილიონ ევროს შეადგენს. საგიოლას კონტრაქტი 2007 წელს უმთავრდება, რომლის შემდეგაც ისევ „მონაკოში“ იბურთავებს ან კიდევ სხვა კლუბის საკუთრება გახდება.

ლადო ხომერიკი

რომარიომ პელეს ბოდიში შეუთვალა





ფიფას ვერსიით მსოფლიოს 1994 წლის საუკეთესო ფეხბურთელმა რომარიომ ფიფასვე ვერსიით მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელ პელეს ბოდიში მოუხადა.

ჯერ ის გავიგოთ, თუ რისთვის მოუხადა რომარიომ ბოდიში პელეს.

ამას წინათ, პელემ ჟურნალისტებთან საუბრისას, სხვათა შორის, აღნიშნა, დრეა, რომარიო თამაშს შეეშვას და პენსიაზე გავიდეს, მით უმეტეს, თავად რომარიოსაც არაერთხელ უთქვამს, ჩემი წასვლის დროაო.

პელეს ამ კომენტარიდან რამოდენიმე ხნის მერე რომარიომ განთქმულ კობაკაბანას პლაჟზე ფეხბურთის თამაშის მერე თქვა, პელეს არავინ ჰკითხავს ჩემი წასვლის საკითხსო.

„პელეს ერთი ცუდი თვისება აქვს, გაუთავებლად რაღაც სისაძაგლეებს ლაპარაკობს — თქვა რომარიომ — მის გამონათქვამებზე პასუხის გაცემა არც მინდა, მაგრამ ხალხმა სიმართლე უნდა იცოდეს. პელეს უჯობს, გაჩუმდეს და თავის ცხოვრებას მიხედოს. ის ძალიან კარგი პოეტია — როცა დუმს.“

ეს დაახლოებით ივიეა, ჩვენში ცელქ ბავშვზე რომ ამბობენ, რა კარგი ბავშვია, როცა ძინავსო.

თუმცა რომარიომ იქვე ისიც დასძინა, პელე უეჭველად ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელია და ფეხბურთის მეფე კი არა, ღმერთიაო.

მთელი ეს აურზაური კი იმან გამოიწვია, რომ რომარიომ, რომელსაც ორ კვირაში 39 წელი უსრულდება, „ვასკუ და გამადან“ მორიგი შეთავაზება მიიღო და დაყაბულდა.

ახლა კი ბოდიშის მოხდაზე მოგახსენებთ. შაბათს რიოში ამხანაგური მატჩის წინ რომარიომ ჟურნალისტებს უთხრა: „მინდა შემთხვევით ვისარგებლო და პელეს ბოდიში მოვუხადო იმ სიტყვებისთვის, ამას წინათ მისი მისამართით რომ ვთქვი. პელე ფეხბურთის მეფეა და ჩემი მისდამი დამოკიდებულება უბრალოდ სწორად ვერ გამოვხატე.“

რაკი ბოდიში მოხდილი იყო, ვითარების გამწვავების საბაბი აღარც პელეს ჰქონდა და მანაც რომარიო საუკეთესოდ მოიხსენია: „არ ვიცი, შეიძლება ჩემი ნათქვამი მას არასწორად მიაწვდინეს. როცა ვთქვი, რომ დროა კარიერა დაასრულოს-მეთქი, ის ვიგულისხმე, რომ ახლა რომარიო დიდების ზენიტშია და წასვლა ყოველთვის ასეთ დროს სჯობს. ყოველ შემთხვევაში, მე რომარიოს გულშემატკივრად ვრჩები.“

აურზაური არაფრის გამო ამით დასრულდა.

კოტე კეკელია

პორტუგალია

სუპერლიგა. XVII ტური

გიმარაეში 1:0 ბეირა მარი
1:0 ტარგინუ (90)

აკადემიკა 0:0 პორტუ

ჟილ ვისენტე 0:1 პენაფიელი
0:1 ნუნუ სილვა (90)

რიუ ავე 2:0 ლეირია
1:0 პაულუ სეზარი (17), 2:0 იდელესიუ (47)

ბრაგა 0:0 მორეირენსე

მარიტიმუ 2:1 ეშტორილი
1:0 ბიბიშკოვი (24), 2:0 ბუბა (61ს.კ), 2:1 ვარგაში (90)

ნასიონალი 3:2 სპორტინგი
1:0 ადრიანუ (18), 2:0 ემერსონი (21), 2:1 ლიდსონი (60), 2:2 კუშტუდიუ (62), 3:2 ადრიანუ (90)

बेनफიკა 4:0 ბოავიშტა
1:0 სიმაო (39პ), 2:0, 3:0 ნუნუ გომეში (58, 67), 4:0 მანტორაში (90)

სეტუბალი — ბელენენსეში
დღეს გაიმართება

სპორტინგი	17	9	4	4	37:23	31
პორტუ	17	8	7	2	22:10	31
ბენფიკა	17	9	4	4	28:18	31
ბრაგა	17	8	6	3	24:13	30
ბოავიშტა	17	9	3	5	20:21	30
მარიტიმუ	17	6	8	3	19:16	26
რიუ ავე	17	5	10	2	23:19	25
სეტუბალი	16	7	3	6	21:19	24
ლეირია	17	5	8	4	18:17	23
გიმარაეში	17	6	4	7	17:18	22
ნასიონალი	17	6	3	8	20:26	21
პენაფიელი	17	6	2	9	18:30	20
ჟილ ვისენტე	17	5	4	8	18:19	19
ბელენენსეში	16	5	3	8	25:24	18
ეშტორილი	17	5	3	9	20:24	18
მორეირენსე	17	3	7	7	15:24	16
ბეირა მარი	17	3	5	9	19:34	14
აკადემიკა	17	3	4	10	14:23	13

II დივიზიონი
XVII ტური

შავეში — ალვერკა 1:0; ფეირენსე — ფერეირა 3:0; ლეიშოეში — გონდომარი 0:1; მარკუ — ესპინიუ 2:1; ფელგეირაში — ვარზიმი 1:4; ნავალი — სანტა კლარა 4:1; პორტიმონენსე — ოვაირენსე 2:1; ამადორა — ავეში 1:0; მაია — ოლიალენსე 1:1

მექსიკა

კლასესერა. I ტური

ტოლუკა — ნეკაქსა 1:0; კრუზ ასული — პუებლა 3:1; დორადოსი — ამერიკა 0:1; ტიგრესი — ხაგუარესი 0:0; ვერაკრუსი — მონტერეი 0:2; ატლასი — სანტოსი 1:2; ბაჩუკა — მორელია 0:1; ატლანტე — გვადალახარა 1:1 ტეკოსი — პუმასი წუხელ გვიან დამთავრდა

საბილს რობინიო დაეყოლეს



ესპანური „მარკას“ ცნობით, ბრაზილიელი რობინიო და მადრიდის „რეალი“ მალე შეთანხმდებიან. შაბათს ოკეანისგაღმელი ფორვარდის აგენტი ჟუან ფიგერი ერთ-ერთ მადრიდულ პრესტიჟულ რესტორანში კასტილიური გრანდის თავკაცობას (ემილიო ბუტრაგენიო, არიგო საკი, ვანდერლეი ლუშემბურგო) შეხვდა და ახალგაზრდა ფორვარდის მომავალზე მოეთათბირა.

ხსენებული ნადიმი უფრო იმით იყო განპირობებული, რომ მადრიდს პელე ესტუმრა და იქაურებმა მის საპატივცემულოდ ოფიციალური საღილი გამართეს. თუმც დაინტერესებულ მხარეებს არც „რობინიოს საქმე“ დარჩენიათ უყურადღებოდ. როგორც გაირკვა, რობინიოს ტრანსფერს უახლოეს ხანში სერიოზულად განიხილავენ და „სანტოსის“ მოიერიშეც ალბათ კასტილიური გრანდის მაისურას ივნისში მოირგებს. „ჩემს ფეხბურთელთან და „რეალთან“ დაკავშირებული ამბავი რამდენიმე ხანში გაირკვევა. ჯერ კიდევ უამრავ სატრანსფერო დეტალზე უნდა ვისაუბროთ. ამიტომაც წინასწარ ვერაფერს გეტყვით“ — აღნიშნა ჟუან ფიგერმა.

რობინიოს ამჟამინდელი კლუბი „სანტოსი“ ნიჭიერი ფორვარდის გუნდიდან გაშვებას ზაფხულამდე არ გეგმავს, რადგან ბრაზილიელებს მისი ბურთაობა კოპა ლიბერტადორესის მოსანადირებლად გამოადგებათ.

ლადო ხომერიკი

ზამთრის ევროპული ტრანსფერები

გერმანია

ფეხბურთელი	საიდან	სად
კეისი კელერი	ტოტენჰემი (ინგლისი)	მიონხენგლადბახი
ჯეიმი პეტერსი	კაიზერსლაუტერნი	იფსვიჩი (ინგლისი)
რობერტუ პინტუ	ჰერტა	არმინია
პეკა ლაგერბლომი	ვერდერი	ნიურნბერგი
ტობიას რაუ	ბაიერნი	ნიურნბერგი
უესლი სონკი	აიაქსი (ჰოლანდია)	მიონხენგლადბახი
პეტერ სკოვ-იენსენი	მიდტიულანდი (დანია)	ბოხუმი
სამუელ კუჯუ	ტიროლი (ავსტრია)	ფრაიბურგი
ოთარ ხიზანეიშვილი	დინამო (რუსეთი)	ფრაიბურგი
ფათიჰ აკიელი	ფენერბაჰჩე (თურქეთი)	ბოხუმი
ბიქსენტ ლიზარაზუ	მარსელი (საფრანგეთი)	ბაიერნი
ენრიკო გაედე	მიონხენგლადბახი	ესენი
ბერნარდო რომეო	ჰამბურგი	მალიორკა (ესპანეთი)
მოჰამედ ზიდანი	მიდტიულანდი (დანია)	ვერდერი
კრეიგ მური	რეინჯერსი (შოტლანდია)	მიონხენგლადბახი
ანდრეას იბერტსბერგერი	ზალცბურგი (ავსტრია)	ფრაიბურგი
ჰანო ბალიტჩი	ლევერკუზენი	მაინცი
მიხაელ ტიურკი	ლევერკუზენი	მაინცი
პიოტრ ტროხოვსკი	ბაიერნი	ჰამბურგი
იურგენ მახო	რაპიდი (ავსტრია)	კაიზერსლაუტერნი
ბერნდ ტიისი	ტრაბზონი (თურქეთი)	მიონხენგლადბახი
მიმუნ აზაუაგი	მაინცი	შალკე
დიეგო ლეონი	ბოხუმი	არმინია
მოარამ ნავიდკია	არმინია	ბოხუმი
ლანდონ დონოვანი	ვაშინგტონი (აშშ)	ლევერკუზენი
იორგ ბიომე	შალკე	მიონხენგლადბახი
ემანუელ სენტურიონი	შტუტგარტი	ველესი (არგენტინა)
შტეფან კლინგი	ჰამბურგი	ზაარბრიუკენი
კრისტიან ტიმი	კაიზერსლაუტერნი	ფიურტი
რადოსლავ კალუჟნი	ლევერკუზენი	ესენი
თომას დრეშერი	კაიზერსლაუტერნი	ბურგჰაუზენი
იან შლაუდრაფი	მიონხენგლადბახი	ალემანია
ანგელოს ხარისტიასი	ვერდერი	აიაქსი (ჰოლანდია)
ვლადიმირ ივიჩი	მიონხენგლადბახი	აეკ (საბერძნეთი)
ოსკარ აჰუმადა	ვოლფსბურგი	რივერ პლეიტი (არგენტინა)
შტეფან მალცი	კაიზერსლაუტერნი	ფიურტი
ტედი ლუკიჩი	ლევერკუზენი	ჰეკენი (შვედეთი)
კლინტ მატისი	ჰანოვერი	მიონხენგლადბახი

ესპანეთი

ფეხბურთელი	საიდან	სად
თომას გრავესენი	ევერტონი (ინგლისი)	რეალი
ხავიერ პორტილიო	ფიორენტინა (იტალია)	რეალი
გარბა ლავალი	ალბასეტე	ხერესი
სანტი დენია	ატლეტიკო	ალბასეტე
ტონი ლუკე	მალაგა	სიუდად მურსია
გუსტავო ვალერა	სევილია	მურსია
ფერნანდო ტორადო	სევილია	რასინგი
მარკ იულიანო	იუვენტუსი (იტალია)	მალიორკა
ფერნანდო მორიენტესი	რეალი	ლივერპული (ინგლისი)
დიეგო სიმეონე	ატლეტიკო	რასინგი (არგენტინა)
იესპერ გრონკიაერი	ბირმინგემი (ინგლისი)	ატლეტიკო
ლუჩანო ფიგეროა	კრუზ ასული (მექსიკა)	ვილიარეალი
ხუან პაბლო სორინი	კრუზეირო (ბრაზილია)	ვილიარეალი
მაურისიო პელეგრინო	ვალენსია	ლივერპული (ინგლისი)
ნიკო ოლივერა	დეფენსორი (ურუგვაი)	ალბასეტე
ხოსე ლუისმი	ალბასეტე	მურსია
ლუის ანგულო	ბილბაო	ხიმნასტიკი
დანიელ ტარანტინო	ბილბაო	ნუმანსია
სერხიო არაგონესესი	ატლეტიკო	ხეტაფე
მიგელ ხაკობო	ატლეტიკო	პოლი ეხიდო
ხოსე ისმაელი	ბეტისი	ელჩე
კარლოს ჩანგი	დეპორტივო	პონტევედრა
მარკ ბერტრანი	ესპანიოლი	კორდობა
ანტონიო სერვულო	ლევანტე	კორდობა
კარლოს მიჩელი	მურსია	მალაგა
გონსალო დე ლოს სანტოსი	ვალენსია	მალიორკა
იოშიტო ოკუბო	შიმიცუ (იაპონია)	მალიორკა
ბერნარდო რომეო	ჰამბურგი (გერმანია)	მალიორკა
პატრიკ მიულერი	მალიორკა	ციურიხი (შვეიცარია)
პულპო გონსალესი	კორდობა	ნუმანსია
რაფაელ ხორდა	პერალტა	ნუმანსია
რაულ მარტინი	ეიბარი	რასინგი
კრისტიან ალვარესი	რასინგი	კორდობა
კარლოს ამაია	ხეტაფე	სიუდად მურსია
კარლოს ხავიერ ჩავი	ამურიო	რასინგი
გონსალო ტრევი	რასინგი	ამურიო
დანი გონსალესი	სევილია	მურსია
ლუის მეა ვიტალი	ხეტაფე	?
კოსტას კიასოსი	ნუმანსია	?
იბრაჰიმ ბაკაიოკო	ოსასუნა	?

იტალია

ფეხბურთელი	საიდან	სად
ფრანჩესკო კოცა	ჯენოა	სიენა
ხავიერ პორტილიო	ფიორენტინა	რეალი (ესპანეთი)
სეზარ გონსალესი	კიევო	კატანია
ადრიან მუტუ	უგუნდოდ	იუვენტუსი
ჯოვანი პასკუალე	ინტერი	სიენა
პაოლო დელაფიორე	ინტერი	სპეცია
ანჟელო დე ალმეიდა	კრისიუმა (ბრაზილია)	ლეჩე
ივანო რობერტი	ლაციო	კატანძარო
მარკ იულიანო	იუვენტუსი	მალიორკა (ესპანეთი)
სიმონე ინძაგი	ლაციო	სამპდორია
ფაბიო ბაცანი	სამპდორია	ლაციო
მასიმო მაკარონე	მიდლსბრო (ინგლისი)	სიენა
ლამბროს ხუტოსი	ინტერი	ატალანტა
მატიას ალმეიდა	ბრეშა	ვესტ ბრომვიჩი (ინგლისი)
მატია გრაფიედი	სიენა	მოდენა
ვლადო შმიტი	ბოლონია	პესკარა
გუსტავო ლაზარეტი	ბოტაფოგო (ბრაზილია)	უდინეზე
სიმონე ერამო	მესინა	ტარანტო
ხულიო სეზარ ლეონი	კატანძარო	რეჯინა
ჯოვანი მორაბიტო	რეჯინა	კატანძარო
დავიდე დიონიჯი	რეჯინა	ბარი
ჯორდანო პაგანოტო	ჩეზენა	ბრეშა
ალბერტო არამუ	ნაპოლი	კალიარი
ანდრეა ალბერტი	ჩეზენა	ბრეშა
ლუკა საუდატი	ატალანტა	ემპოლი
კუო არნო	ლე მანი (საფრანგეთი)	ლეჩე
რიკარდო ალეგრეტი	კიევო	ვენეცია
დავიდე სუჩი	კიევო	ლუკეზე
ჯანი კომანდინი	ატალანტა	ტერნანა
რაფაელე ამეტრანო	მესინა	აველინო
ჯულიო მილაჩიო	ტერნანა	ატალანტა
მირკო კონტე	მესინა	არეცო
დავიდე სინიგალია	არეცო	ატალანტა
კარმინე გაუტიერი	ატალანტა	ნაპოლი
დავიდე ინაჩიო პია	ატალანტა	ნაპოლი
სიმონე დანიელო	ბოლონია	გარფანანა
მარიო ფონტანა	ფიორენტინა	ნაპოლი
პანაიოტის გონიასი	მესინა	კროტონე
სანტოს როდრიგო	კორინთიანსი (ბრაზილია)	რეჯინა
რობერტო ტისონე	კომო	უდინეზე

ინგლისი

ფეხბურთელი	საიდან	სად
კეისი კელერი	ტოტენჰემი	მიონხენგლადბახი (გერმანია)
თომას გრავესენი	ევერტონი	რეალი (ესპანეთი)
საიმონ როისი	ჩარლტონი	ქუინზ პარკი
ფერნანდო მორიენტესი	რეალი (ესპანეთი)	ლივერპული
ენდრიუ დევისი	მიდლსბრო	ქუინზ პარკი
მასიმო მაკარონე	მიდლსბრო	სიენა (იტალია)
იესპერ გრონკიაერი	ბირმინგემი	ატლეტიკო (ესპანეთი)
ირჟი იაროშიკი	ცსკა (რუსეთი)	ჩელსი
კევინ კემპბელი	ევერტონი	ვესტ ბრომვიჩი
ჯეიმს ბიტი	საუთჰემპტონი	ევერტონი
მატიას ალმეიდა	ბრეშა (იტალია)	ვესტ ბრომვიჩი
დინ ეშტონი	ქრიუ	ნორვიჩი
ალან ბლეინი	საუთჰემპტონი	რაშდენი
რობერტ ბარჩი	ტოტენჰემი	სტივენეიჯი
ემანუელ ებუ	ბევერენი (ბელგია)	არსენალი
იან ფოლი	საუთჰემპტონი	ნოტინგემი
რაიან ნელსენი	ვაშინგტონი (აშშ)	ბლექბერნი
ლეს ფერდინანდი	ბოლტონი	რედინგი
რობი ბლეიქი	ბარნლი	ბირმინგემი
მაურისიო პელეგრინო	ვალენსია (ესპანეთი)	ლივერპული
ჯეიმი რედნაპი	ტოტენჰემი	საუთჰემპტონი
აარონ მოკოენა	გენკი (ბელგია)	ბლექბერნი
ემილ ჰალფრედსონი	ჰაფნარფიორდური (ისლანდია)	ტოტენჰემი
დევიდ ლიმბერსკი	პლზენი (ჩეხეთი)	ტოტენჰემი
კალუმ დევენპორტი	ტოტენჰემი	საუთჰემპტონი
სელესტინ ბაბაიარო	ჩელსი	ნიუკასლი
ჟან-ალენ ბუმსონგი	რეინჯერსი (შოტლანდია)	ნიუკასლი
ნჯაზი კუქი	ლაჰტი (ფინეთი)	ბირმინგემი

ვაჭების ბადე



ავსტრალიის ღია პირველობა 2005

ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის
ვინ შეაჩერებს ფედერერს?!



ამ ორშაბათიდან მელბურნულ მაგარსაფარზე ათი სლემტიტულოსანი ხვადი დაიწყებს ჩოგნის ქნევას, მაგრამ ამის და კიდევ იმის მიუხედავად, რომ ავსტრალიის ღია პირველობაზე — ისევე როგორც დიდი მუზარადის ყოველ შეჯიბრზე — ხშირად ხდება მოულოდნელი ამბები, ყველას მაინც ერთი კითხვა აწვალებს:

შეუძლია ვინმეს როჯერ ფედერერის შეჩერება?!

შარშანდელი ჩემპიონი „მელბურნ პარკს“ უშთამბეჭდავეს ფორმაში უბრუნდება — თუკი ბოლო დღეებში „კუიონგ კლასიკზე“ მოხვეჭილ სამ გამარჯვებას (რომელთაგან მესამეში ანუ ფინალში მან ამქრის მეორეადგილოსან ენდი როდიკს 6:4, 7:5 აჯობა და პირად დავაში მასთან უკვე 9:1 უპირატესობს) წინისწინა კვირაში დოჰაობაზე მოგებულ მატჩებს მივათვლით, გამოვა, რომ შარშანდელიდან მოყოლებული ის უკვე 24 შეხვედრაში არ დამარცხებულა. აქვე იმასაც თუ დავსძენთ, რომ 23 წლის შვეიცარიელმა შარშან 11 ტიტული მოაქუჩა, ოთხიდან სამ სტემტურნირზე იმარჯვა, სეზონის ბოლოს მასტერსთასიც დააწიოკა, ზედიზედ უკვე 14 ფინალი აქვს მოგებული და ამქრის რეიტინგსიაშიც უზორბესი მარაგით ლიდერობს, მაშინ არც იმის დასკვნა უნდა გაგვიჭირდეს, რომ როჯერის დამარცხება ახლა, მხოლოდ რაღაც ფორსმაჟორულ გარემოებას თუ ჩოგანეწიფება.

რაც მთავარია, ასევე ფიქრობს თავად ფავორიტიც: შაბათს კუიონგობის ფინალში როდიკის შემუსვრის შემდეგ მან თქვა, რომ თავს ახლა გაცილებით უფრო მძლავრად გრძნობს, ვიდრე შარშანდელი ავსტრალიობის წინ.

არის კიდევ ერთი ფაქტორიც, რაც ასევე მის სასარგებლოდ მეტყველებს. სახელდობრ ის, რომ განსხვავებით წინა სეზონისგან, როცა ფედერერი უმწვრთნელოდ ჩოგნაობდა, ახლა მას დროებით ეხმარება გამოცდილი ავსტრალიელი ტონი როჩი, ვინაც ადრე ივან ლენდლსა და პატ რაფტერსაც გეშავდა.

ჰოდა, ყოველივე ამის გათვალისწინებით ფედერერი ამბობს, რომ საიმისოდ, რათა მას ვინმე მოერიოს, ძალოვანი გარჯა დასჭირდება.

და ვინ არიან ისინი, ვისაც ასეთი გარჯა უწინარესად მოეთხოვებათ?

ასეთებად ჩოგბურზე მწერლებს შარშანდელი და 2002 წლის ფინალებში დამარცხებული მარატ საფინი, ზემოთ ხსენებული ენდი როდიკი და რეიტინგსიის მესამეადგილოსანი, ადგილობრივი მილეთის ჯილა ლეიტონ ჰიუიტი ესახებათ.

ჰიუიტმა რიგიანი ფორმა უკვე შარშანდელი შემოდგომიდან აკრიფა და ახლა კიდევ უფრო მარჯვედ რომ ჩოგნაობს, ამის დასტურად გასულ კვირაში სიდნეობაზე მისი გამარჯვებაც ივარგებს.

კისკასმა ოზბიჭმა, ვინაც სამშობლოს 1976 წლიდან ანუ მარკ ედმონდსონის გამარჯვების შემდეგ მოუგებელი სლემტიტული უნდა უშოვოს, სიდნეურ მაგარსაფარზე უკვე მეოთხედ გაილაღა და თავისი საკარიერო ტიტულმონაგარი 24-მდე აიყვანა.

იმის მიუხედავად, რომ შარშან ის დიდი მუზარადის სამ ტურნირზე სწორედ ფედერერისგან იძლია, უიმბლდონისა და აშშ-ის ღია პირველობის ოდინდელ ჩემპიონს მაინც სჯერა, რომ ამქრის პირველოსანი დაუმარცხებელი სულაც არ არის. მის და თავის უმთავრეს მეტოქეებად ის ასევე როდიკსა და საფინს მიიჩნევს, თუმცა თვლის, რომ უსიამოვნო სიურპრიზების შემოთავაზება სხვებსაც ძალუძთ.

თავის ამჟამინდელი ფორმით კმაყოფილობს მარატ საფინიც. რომელმაც 2003 წლის გადატანილი ტრავმების გამო შარშანდელი სეზონი რეიტინგსიის 86-ე საფეხურზე დაიწყო, მაგრამ ავსტრალიობაზე ფინალს რომ უწია, ნოემბერში მიჯრით იმარჯვა მადრიდულ და პარიზულ მასტერსებზე. ახლა ის რანგით მხოლოდ ფედერერს, როდიკსა და ჰიუიტს ჩამორჩება და რაკიღა ბოლო კვირების განმავლობაში ოფლიანად ემზადება, ჩემს ძალებში დასტურ დარწმუნებული ვარო, ამბობს.

ასეთივე, საბრძოლო განწყობა აქვს ენდი როდიკსაც: „სეზონთშორის პერიოდში კორტზე იმდენი დრო გავატარე, აქამდე არასოდეს რომ არ გამიტარებია — ამბობს ის — ასე რომ, ახლა თავს საუცხოოდ ვგრძნობ და იმედი მაქვს, სეზონს უმაღლეს დონეზე დავიწყებ.“ როდიკის შემართება მით უფრო გასათვალისწინებელია, რომ მან ძალზედ მარცხიანად დაასრულა წინა წელი — მშობლიურ ჰიუსტონში მასტერსთასის ნახევარფინალში დამარცხდა და დევისფინალშიც ვერაფრით გამოირჩა ესპანელთა წინააღმდეგ. ამდენად, ცუდი ახლოწარსულის დასავიწყებლად მას მეტისმეტად სჭირდება დამაჯერებელი გამარჯვება.

სხვაფრივ — ტიტულის შესაძლო მოცილეთა შორის სახელდებიან ბრიტანელი ტიმ ჰენმანი და სახელიანი არგენტინელები — გილერმო კორია და დავიდ ნალბანდიანი. ტურნირს ესენი თუმც უკაშკაშოდ, მაგრამ სანაცვლოდ უტრავმებოდაც ხვდებიან, ავსტრალიობის ოთხგზის ჩემპიონმა, 34 წლის ანდრე აგასიმ კი კუიონგურ სალაღობო ტურნირზე ბარძაყი დაიშავა და, მართალია, დასტაქრებისგან სრული გარანტია მიიღო, მაგრამ მილეთში მაინც ეჭვები გააღვივა. თუმც, იმედია, პირველ წრეებში მას მძიმე ბრძოლების გადახდა არ მოუწევს და როცა ფიცხელ შეხლათა დრო მოვა, ჭაბუკ დიდებულთა შორის მასაც ვიხილავთ.

ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

1960	როდ ლეივერი	1975	ჯონ ნიუკომბი	1989	ივან ლენდლი
1961	როი ემერსონი	1976	მარკ ედმონდსონი	1990	ივან ლენდლი
1962	როდ ლეივერი	1977(იანვარი)	როსკო ტანერი	1991	ბორის ბეკერი
1963	როი ემერსონი	1977(დეკემბერი)	ვიტას გერულაიტისი	1992	ჯიმ კურიე
1964	როი ემერსონი	1978	გილერმო ვილასი	1993	ჯიმ კურიე
1965	როი ემერსონი	1979	გილერმო ვილასი	1994	პიტ სამპრასი
1966	როი ემერსონი	1980	ბრაიან თიჩერი	1995	ანდრე აგასი
1967	როი ემერსონი	1981	იოჰან კრიკი	1996	ბორის ბეკერი
1968	ბილ ბოური	1982	იოჰან კრიკი	1997	პიტ სამპრასი
1969	როდ ლეივერი	1983	მათს ვილანდერი	1998	ჰეტერ კორდა
1970	არტურ ეში	1984	მათს ვილანდერი	1999	ევგენი კაფელნიკოვი
1971	კენ როუზუოლი	1985	სტეფან ედბერგი	2000	ანდრე აგასი
1972	კენ როუზუოლი	1986	არ ჩატარებულა	2001	ანდრე აგასი
1973	ჯონ ნიუკომბი	1987	სტეფან ედბერგი	2002	ტომას იოჰანსონი
1974	ჯიმი კონორსი	1988	მათს ვილანდერი	2003	ანდრე აგასი
				2004	როჯერ ფედერერი

ავსტრალიის ღია პირველობა 2005

მარია შარაპოვა



ლინდსი დევენპორტი

სიცხე, ქაოსი, ქალები

განსხვავებით წინა წლებისგან, როცა ავსტრალიის ღია პირველობის ფავორიტად სულ სამი-ოთხი ქალმეჩოგნე სახელდებოდა, წლეულს ტიტულზე მონადირეთა რიცხვი ათამდე აღწევს. ვითარება ვერც იმ ამბავმა შეამსუბუქა, რომ ამქარს ტრავმიანობის გამო დააკლდნენ შარშანდელი ფინალისტები — ჩემპიონი ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლაისტერსი. პირუკუ, მათმა არყოფნამ ყველაფერი კიდევ უფრო აბურდა, თორემ ჭინკა ჟუსტინი რომ ახლა მწყობრში ყოფილიყო, ვინძლო ამხელა შესავალიც არ დაგვჭირვებოდა.

„მრავალი მეჩოგნე დაშავებულია, ზოგმაც ჯერ არ იცის, ბოლომდე მოკეთდა თუ არა. ეს ყველაფერი წლევანდელ წინასატურნირო სიტუაციას მცირედ ქაოტურ ელფერს სძენს — ამბობს ამქრის პირველოსანი ლინდსი დევენპორტი — ისე ჩანს, გამარჯვების შანსი ყველას უნდა ჰქონდეს. ახლა ალბათ ვერავინ იტყვის დაბეჯითებით, ორკვირეულის დამლევს კორტს რომელი მოთამაშეები შერჩებიან."

თუმცა მაინც შეიძლება ითქვას, რომ თავად ლინდსი, როგორც რეიტინგსიის პირველადგილოსანი, სხვაზე მეტად არის ფავორიტი.

მას იქ 2000 წელს უმარჯვია და მას შემდეგ — ძირითადად უწყვეტი ტრავმიანობის გამო — ერთი სადიდმუზარადო ტიტულიც ვერ მოუნაგრავს.

შარშან ზაფხულში ლინდსი დიდი ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ იუწყებოდა, მაგრამ მთელი დარჩენილი სეზონი ისე ბარაქიანად ჩათამაშა, რომ რეიტინგსიის სათავემდეც აღზევდა. ჩოგბურთის ისტორია კი, ვგონებ, არ იცნობს ისეთ ფაქტს, თამაშისთვის თავი ვინმეს პირველოსნობისას რომ დაენებებინოს. ჰოდა, ლინდსი ამბობს, რომ ახლა მას სტიმულსა და ხალისს კიდევ ერთი-ორი სლემტურნირის მოგების პერსპექტივა აძლევს.

საქმეში ნამეტნავად ჩახედულობა არ სჭირდება იმის გამოცნობას, რომ ლინდსის უმთავრესი მოცილენი ამ ორი კვირის განმავლობაში რუსი გოგონები იქნებიან. ამათ შარშან ოთხიდან დიდი მუზარადის სამი ტურნირი აიოხრეს და — თუ გახსოვთ — ერთადერთი, რაიც მათ გადაურჩათ, სწორედ ავსტრალიის ღია პირველობა იყო.

საამმომენტოდ ქალთა ზეექვსეულში ოთხი რუსი გოგო, ხოლო ზეთხუთმეტეულში კიდევ ორი მათიანი ბოგინობს. სპეცრაზმს როლანგაროსობის შარშანდელი ჩემპიონი ანასტასია მისკინა ყოჩობს. მას შარშანდელივე უიმბლდონის დედოფალი მარია შარაპოვა მოჰყვება, ვინაც მთავარსათაურებში არა მხოლოდ თავისი ქალური მადლმოსილობის, არამედ საკუთრივ საჩოგბურთო ბრწყინვალების გამოც ხვდება. აქვე არიან სვეტლანა კუზნეცოვა, წინა სეზონისავე აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი და ელენა დემენტიევა, ვინაც საფრანგეთისა და აშშ-ის აქ ხსენებულ ღია პირველობათა ფინალებში სწორედ თვისტომთაგან იძლია და მელბურნში ნავსის გატეხვას ლამობდა, მაგრამ არანორმალურად მაღალი ავსტრალიური ტემპერატურის გამო შეუძლოდ შექმნილა და მთლად ისეთ ფორმაშიც ველარ არისო.

და რასა იქმან დები უილიამსები, რომელთა წინაშეც სულ ცოტა ხნის წინ მთელი საქალეთი ძრწოდა?!

სერენა, ვინაც რაგინდარა სლემტიტული ბოლოჯერ 2003 წლის უიმბლდონზე იშოვა, ისევ ბაქი-ბუქობს და ყინჩადაა, თუმც იმავდროულადაც თავს იზღვევს, მე ხომ ყველა გამორჩეული ქალი მერკინებაო. ხოლო ვინუსი, ვისი დიდებაც 2000-2001 წლებზე მოდის და მერე მხოლოდ უმცროსი დის სლემფონობას სწევდა, ახლა მხოლოდ საკუთარი თავის აჩრდილიღაა.

დიახ, უილიამსდათა უძლეველობის ჯუბა უკვე დახეულია და ამ ნახევში ჩოგნის შემყოფთა რიცხვმაც თვალსა და კორტს შუა იმატა.

ეს ისე-რა მიმოხილვა კი ორი ქალით უნდა გავასრულოთ. ერთი ამქრის მეორეადგილოსანი ამელი მორესმოა, ტურნირის 1999 წლის ფინალისტი, რომელსაც აქამდე ერთი სლემტურნირიც არ მოუგია და ამგვარი სლემქალწულობა იქნებ ახლა მაინც შემოეცრიცოს. მეორე კი ავსტრალიელი ალიშა მოლიკია. მან ეს-ესაა, სიდნეურ ტურნირზე იმარჯვა და მზად არის, ავსტრალიელ ქალთა მიერ 1978 წლის შემდეგ მოუგებელი ტიტულის მოსაგებადაც ისევე შეუპოვრად იჩოგნაოს. მართალია, მისი შანსებისა ჩვენ პირადად დიდად არ გვჯერა, მაგრამ ეს სულაც არ გვიშლის ხელს, მოგაგონოთ, რომ ბოლო ოზგოგო, ვინაც მშობლიური სლემტურნირი მოიგო, ქრის ონილი გახლდათ.

ლევან კელაურაძე

ყველა ჩემპიონი 1960 წლიდან

1960	მარგარეტ სმიტი
1961	მარგარეტ სმიტი
1962	მარგარეტ სმიტი
1963	მარგარეტ სმიტი
1964	მარგარეტ სმიტი
1965	მარგარეტ სმიტი
1966	მარგარეტ სმიტი
1967	ნენსი რიჩი
1968	ბილი ჯინ კინგი
1969	მარგარეტ სმიტ კორტი
1970	მარგარეტ სმიტ კორტი
1971	მარგარეტ სმიტ კორტი
1972	ვირჯინია ვეიდი
1973	მარგარეტ სმიტი კორტი
1974	ივონ ’ფულაგონგი
1975	ივონ გულაგონგი
1976	ივონ გულაგონგი
1977(იანვარი)	კერი მელვილ რიდი
1977(დეკემბერი)	ივონ გულაგონგ კაული
1978	კრის ონილი
1979	ბარბარა ჯორდანი
1980	ჰანა მანდლიკოვა
1981	მარტინა ნავრატილოვა
1982	კრის ევერტ ლოიდი
1983	მარტინა ნავლატილოვა
1984	კრის ევერტ ლოიდი
1985	მარტინა ნავრატილოვა
1986	არ ჩატარებულა
1987	ჰანა მანდლიკოვა
1988	შტეფი გრაფი
1989	შტეფი გრაფი
1990	შტეფი გრაფი
1991	მონიკა სელეში
1992	მონიკა სელეში
1993	მონიკა სელეში
1994	შტეფი გრაფი
1995	მარი პირსი
1996	მონიკა სელეში
1997	მარტინა ჰინგისი
1998	მარტინა ჰინგისი
1999	მარტინა ჰინგისი
2000	ლინდსი დევენპორტი
2001	ჯენიფერ კაპრიატი
2002	ჯენიფერ კაპრიატი
2003	სერენა უილიამსი
2004	ჟუსტინ ენენ-არდენი

ქალების ბადე



საქართველოს თასის III გათამაშება ჯგუფური ეტაპი. რუსთავი. 16–18 იანვარი

ნიკა ვეფხვაძის თსუ მარადიულ მეტოქე სტუ-ს დაუსლტა

სტუდენტური ხიზნები დინამო თასიდან გაიპარა

ირაკლი პერტაია რუსთავიდან

წინასათასო პრესკონფერენციაზე „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის გამოუცხადებლობის გამო კალათბურთის ფედერაცია ამ გუნდს 200-ათასიანს ჯარიმას უმზადებდა, თუ მწვრთნელის მოუცველობის დამამტკიცებელ ცნობას არ წარმოადგენდნენ. ამ ლოგიკის მიხედვით, ზურაბ ტომარაძის გუნდს გაცილებით მეტი სასჯელი ეკუთვნის, რაკი „დინამომ“ საერთოდ იუარა თასის გათამაშებაში მონაწილეობა და ამ ტურნირის პირველ, რუსთავიულ ეტაპს ინტერესი დაუკარგა.

თასის გათამაშების საწყის ეტაპს ისედაც ძალიან ცხრილი ეხატება, რაკი ხუთი ძლიერი ნახევარფინალის ოთხი საკუთრივ საკუთარ ბრძოლა. ახლა კი „დინამომ“ თასის ორგანიზაციული ფედერაცია რომ „ვალაყელ“, პირველი ეტაპიდან არაუან გაერდება ანუ ოთხი გუნდი ნახევარფინალში დასაწყებლად ბრძოლებს.

ცალკე თემაა ის, თუ რატომ იუარა „დინამომ“ თასზე თამაში. უფრო სწორად, ეს ტაბუდადებული თემაა, რაკი კლუბის მხრიდან ისეთი განცხადება გაკეთდა, რაც ძნელი დასაჯერებელია.

„დინამოს“ მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ თქვა, მთელი ყურადღება ეროვნულ ჩემპიონატზე გადავიტანეთ და თასზეც იმიტომ არ ვთამაშობთო. თუ ეს მართლაც ასეა, „დინამოს“ შეეძლო, ორი-სამი დღით ადრე, თუნდაც წინასათასო პრესკონფერენციაზე გაეკეთებინა ეს განცხადება, ასე ხომ არც კალენდარი აიწეწებოდა და ეგებ რამე ახალი, ინტერესიანი სატურნირო სისტემა მოეფიქრებინათ ფედერაციაში.

ისე კი, რაიმე ტურნირისთვის მოსამზადებლად თუ რამდენიმე მატჩს გამართავ, ეს მხოლოდ წაადგება და არაფერს ავნებს გუნდს. ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ რამდენ დინამოელსაც დავურეკეთ, ყველამ თქვა, მე არ ვიცი, რა ხდება, წარმოდგენა არ მაქვს, თასზე რატომ არ ვთამაშობთო.

მოკლედ, ასეა თუ ისე, „დინამოში“ ისევ რაღაც ხდება და თუ ტრიბუნას შეფენილ სტაჟიან გულშემატკივრებს დავუჯერებთ, ვიცე-ჩემპიონები ხელფასების მომატებას ითხოვენ და თასზე თამაშიც ამის გამო იუარეს.

ეს თუ მართლაც ასეა, მაშინ რა უნდა ქნან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის წევრებმა, რომლებსაც ხელფასი ამ სეზონში საერთოდ არ აუღიათ. ამის გამო სტუდენტებს თასზე თამაშზე უარი კი არ უთქვამთ, არამედ ამაყად გამოვიდნენ გაცილებით ძლიერ მეტოქესთან საბრძოველად და საამაყო გამარჯვებაც იზეიმეს.

წინასწარ გამოცხადებული კალენდრის მიხედვით, „სტუ-ჯეოსელს“ „დინამოსთან“ უნდა ეთამაშა, მაგრამ... სახელდახელოდ გადაკეთებული კალენდრის მიხედვით ტექნიკოსებს პირველ მეტოქედ თსუ შეხვდათ — ჰოდა, კაი ჯახიც გამოვიდა...

ყოველთვის საინტერესო სტუდენტურმა დერბიმ ამ ბოლო ხანებში ხიბლი დაკარგა თსუ-ს დასუსტების გამო. სტუ უპრობლემოდ უგებდა სახელმწიფო უნივერსიტეტელებს და გუშინაც ალბათ იოლი გამარჯვების იმედად გავიდა მოედანზე და მწარედ დაისაჯა. თუმც მთლად ფსიქოლოგიურ ფაქტორს ვერ დავაბრალებთ ტექნიკოსთა მარცხს, რაკი ნუგზარ ჭეიშვილის ბიჭებმა უხეირო დასაწყისის შემდეგ მაინც მოახერხეს თსუ-ელების გატეხვა, გვარიანადაც იგებდნენ მატჩის ბოლო წუთებზე, მაგრამ...

თსუ-მ პატარა (ეგებ დიდიც) საწაული ჩაიდინა, როცა სამი წამყვანი მოთამაშის გარეშე დარჩენილმა ტექნიკოსებს 8 ქულა ამოუღო ბოლო სამ წუთში და 7 ქულით გაიმარჯვა. მამუკა ტურაშვილის ყველა შეგირდი გმირია, მაგრამ ბოლო წუთებზე ისე ათამაშდა ახალგაზრდა დავით ხიზანიშვილი, რომ, შეიძლება ითქვას, მან მოაგებინა თსუ-ს.

მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე სტუ რვა ქულას იგებდა და თავი ქუდში ეგონა. მოგების გარდა ვერაფერზე იფიქრებდნენ ტექნიკოსები, რაკი ანგარიშითაც სჯობნიდნენ მეტოქეს და ძალითაც. თსუ-ს ლიდერებმა — ირაკლი მაისურაძემ, ნუგზარ კოკოლიშვილმა და ირაკლი ბაქრაძემ ერთმანეთის მიყოლებით მიიღეს მეხუთე პერსონალური და სათადარიგოებს შეუერთდნენ. ვინღა დარჩა მამუკა ტურაშვილს წელგამართულ მეტოქესთან საბრძოველად? სულ ახალგაზრდები, რომლებმაც უიმედო მატჩის სათავისოდ შემოტრიალება მოახერხეს.

...ნიკა ვეფხვაძის ორქულიანმა თსუ-ელთა ჩამორჩენა ხუთ ქულამდე შეამცირა, მაგრამ სტუ მაინც ქედმაღლობდა, რადგან სირენამდე ორ წუთზე ნაკლები რჩებოდა. ტექნიკოსებმა შეტევა გააფუჭეს და დავით ხიზანიშვილმა შორი სროლით ანგარიში ორ ქულამდე შეამცირა. ტურაშვილის სამწყსო მჭიდრო დაცვაზე გადავიდა, რაც ცოტა გადამეტებულად მოუვიდა და სტუ-ელმა ზვიად მიქაძემ საჯარიმო ხაზიდან ორჯერ იხერა.

თსუ-მ მომდევნო შეტევა გაანიავა დასრულებამდე წუთით ადრე და თითქოს ყველაფერიც აქ დამთავრდა, თუმც ბურთი მოულოდნელად ისევ ხიზანიშვილმა მოიხელთა, რომელმაც დაუფიქრებლად ესროლა შორიდან და თსუ ქულასღა აგებდა... სტუ-მ კვლავ გააცუდა შეტევა და მიშა ფანჩულიძემ სახელმწიფო უნივერსიტეტელები დააწინაურა — 103:102.

ტექნიკოსებს თამაშის გადასარჩენად საკმაო წამებიც ჰქონდათ და შესაძლებლობაც, მაგრამ მათმა სნაიპერმა გიორგი მარკოიშვილმა საჯარიმო ხაზიდან ერთიც ვერ ჩააგდო. იმავ ხიზანიშვილის მიერ ფარქვეშ ჩაჭრილი ბურთი მატჩის ბომბარდირმა გიორგი მარხვაშვილმა სწრაფად გადაიტანა მეტოქის ნახევარზე და სტუ-ც დანებდა — თსუ-მ საოცარი მატჩი მოიგო.

მოულოდნელი შედეგით დასრულდებოდა გუშინდელი მეორე მატჩიც, რუსთაველებს დასაწყისში აკრეფილი სიჩქარე რომ არ დაეგდოთ. არადა, მასპინძლებმა მართლაც ძლავრად დაიწყეს და პირველი მეოთხედი ათი ქულითაც მოუგეს „აკიატორებს“, თუმც თამაშის შუაწელში ილაჯი გამოეცალათ და ლევან მოსეშვილის გუნდმა არცთუ იოლი, მაგრამ მაინც გამარჯვება იზეიმა.

ყველაზე დამაიმედებელი კი ის გახლდათ, რომ თასის გახსნაზე ერთბაშად მოვიდნენ ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული ზურაბ მელიქიშვილი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავჯდომარე დავით ნამგალაური და რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი. ამ ჩინოსანთა შემხედვარე, ძნელია, დაიჯერო, რომ ქართულ კალათბურთს მომავალი არ უწერია. სამივე დიდმოხელე კალათბურთის აღორძინებაზე ლაპარაკობდა, როგორც ქვემოქართლში, ისე მთელ საქართველოში...

პირველი ტური 16 იანვარი

თსუ 109:102 სტუ
36:26 27:28 21:27 25:21

თსუ: ვეფხვაძე (10), მაისურაძე (26), ბაქრაძე (2), ფანჩულიძე (21), კოკოლიშვილი (14); მარხვაშვილი (28), ხიზანიშვილი (8), ბერაია, ლომიძე, გაფრინდაშვილი

სტუ: დ. ბერიშვილი (2), გოგობერიშვილი (29), მარკოიშვილი (16), კეიდია (11), ჯაფარიძე (16); შანიძე (12), მიქაძე (9), გაგნიძე (6), კოხრეიძე (1), მათიაშვილი

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

კომისარი: მურმან ქურიძე

თუჯი 75:81 ავიამშენი
26:16 10:22 10:21 29:22

თუჯი: ულენტი (30), არწივიძე (3), ჩაჩუა (2), ტყეშელაშვილი (3), დანელიანი (6); მურჯიკნელი (11), ჭოჭუა (9), ლიპარტელიანი (5), გოგილაშვილი (4), ცეკვავა (2)

ავიამშენი: ნიკოლაძე (4), თორთლაძე (16), აბრამიძე, ორმოცაძე (2), ბერძენიშვილი (4); ხოშტარია (25), ნინიაშვილი (23), ნოზაძე (7), ბოლქვაძე, წოწელია

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: როლანდ ხომერიკი

საცდელი სიახლე: თასის მატჩებს სამ-სამი მსაჯი მოემსახურება

„თბილავიამშენის“ თავკაცი ლევან მოსეშვილი და რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილი

NBA რეგულარული ჩემპიონატი



პორტლენდელმა დეიმონ სტუდემაიერმა სულ ტყუილად ჩაუგდო „ნიუ ორლეანს“ 54 ქულა



ზაზა ფაჩულიამ ვაშინგტონელი ჯილბერტ არენასი ვერ შეაყავა

14 იანვარი

მილუოკი 103:105 ვაშინგტონი
მილუოკი: უილიამსი (15), რედი (20), მეისონი (16), სმიტი (4), გაძურიჩი (11); ფაჩულია (24 წუთი, 11 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი), ჯეიმსი (11), ვან პორნი (9), ფიზერი (6), სტრიკლენდი
ვაშინგტონი: პიუზი (23), ჯეიმსონი (22)

დენვერი 83:93 მინესოტა
დენვერი: მარტინი (23), ენტონი (13)
ცემენტშვილი სათადარიგო იყო
მინესოტა: სპრიუელი (29), პადსონი (18)

სიეტლი 103:84 გოლდენ სტეიტი
სიეტლი: ალენი (22), დანიელსი (19)
გოლდენ სტეიტი: კლაქსტონი (27)

კლიპერსი 114:112 მაიამი
ძირითადი დრო 96:96
კლიპერსი: ბრენდი (29 ქულა, 13 მოხსნა), მეჯიტი (28 ქულა, 10 მოხსნა)
მაიამი: ონილი (39 ქულა, 10 მოხსნა)

სან ანტონიო 98:95 დალასი
სან ანტონიო: დანკანი (25), ჯინობილი (22)
დალასი: ნოვიცკი (36 ქულა, 14 მოხსნა)

ნიუ ორლეანი 112:106 პორტლენდი
ნიუ ორლეანი: დიკაუ (26), ნეილონი (22), დევისი (22)
პორტლენდი: სტუდემაიერი (54), ვან ექსელი (23 ქულა, 11 პასი)

დეტროიტი 101:94 ორლანდო
დეტროიტი: ჰამილტონი (26)
ორლანდო: ფრენსისი (31 ქულა, 9 მოხსნა, 8 პასი), ჰილი (17), ნელსონი (17)

ბოსტონი 106:94 ატლანტა
ბოსტონი: დევისი (30), პირსი (21 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი)
ატლანტა: უოლკერი (21 ქულა, 17 მოხსნა, 8 პასი), დრობნიაკი (20)

ინდიანა 101:83 ფინიქსი
ინდიანა: ონილი (29 ქულა, 12 მოხსნა, 6 დაფარება), ტინსლი (18)
ფინიქსი: სტუდემაიერი (26)

შარლოტი 89:109 მემფისი
შარლოტი: ოკაფორი (17 ქულა, 12 მოხსნა), ბრეუეი (15)
მემფისი: გასოლი (19), პოუზი (17)

ფილადელფია 106:96 ტორონტო
ფილადელფია: აივერსონი (32 ქულა, 10 პასი), ტომასი (20 ქულა, 14 მოხსნა)
ტორონტო: მარშალი (20 ქულა, 11 მოხსნა), პიტერსონი (18)

15 იანვარი

მემფისი 101:82 მილუოკი
მემფისი: უილიამსი (25), გასოლი (22)
მილუოკი: უილიამსი (9), რედი (26), მეისონი (6), სმიტი (12 ქულა, 11 მოხსნა), გაძურიჩი (4 ქულა, 11 მოხსნა); ჯეიმსი (12), სტრიკლენდი (6), ვან პორნი (3), ფიზერი (21), კუკოჩი (21), ფაჩულია (4 წუთი, 0 ქულა)

იუტა 71:84 კლივლენდი
იუტა: ბუზერი (12 ქულა, 16 მოხსნა)
კლივლენდი: ჯეიმსი (27), მაკინისი (24)

პიუსტონი 73:67 სან ანტონიო
პიუსტონი: მაკგრეიდი (28), მინგი (13)
სან ანტონიო: პარკერი (21), დანკანი (18 ქულა, 12 მოხსნა)

დეტროიტი 99:95 ფილადელფია
დეტროიტი: ჰამილტონი (25)
ფილადელფია: აივერსონი (28)

ატლანტა 103:95 შარლოტი
ატლანტა: ჰარინგტონი (22)
შარლოტი: ჰარტი (19)

საკრამენტო 99:95 კლიპერსი
საკრამენტო: ვებერი (36 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), სტოიაკოვიჩი (24)
კლიპერსი: ბრენდი (25 ქულა, 14 მოხსნა), კამანი (23)

დალასი 98:93 ნიუ ჯერსი
დალასი: ნოვიცკი (26 ქულა, 12 მოხსნა)
ნიუ ჯერსი: კარტერი (29), ბაფორდი (18), კიდი (10 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა)

ინდიანა 84:85 ორლანდო
ინდიანა: ონილი (38 ქულა, 15 მოხსნა)
ორლანდო: თურქოღლუ (23), ჰილი (19)

ვაშინგტონი 108:103 ფინიქსი
ვაშინგტონი: არენასი (26), დიქსონი (26), პიუზი (22 ქულა, 13 მოხსნა)
ფინიქსი: სტუდემაიერი (26), რიჩარდსონი (25), ჯონსონი (23)

ჩიკაგო 86:84 ნიუ იორკი
ჩიკაგო: კარი (17), გორდონი (16), ჰაინრისი (15 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა)
ნიუ იორკი: მარბერი (25 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ერიზა (18)

გოლდენ სტეიტი 102:104 ლოსანჯელესი
გოლდენ სტეიტი: ფიშერი (29), დანლეი (21)
ლოსანჯელესი: ოდომი (27 ქულა, 12 მოხსნა), ეტკინსი (20)

მინესოტა 92:84 პორტლენდი
მინესოტა: სპრიუელი (25), გარნეტი (17 ქულა, 10 მოხსნა)
პორტლენდი: პატერსონი (25)

ალმოსავლეთი

ატლანტიკა			
ნიუ იორკი	17	19	47,2
ბოსტონი	17	20	45,9
ფილადელფია	16	20	44,4
ტორონტო	15	23	39,5
ნიუ ჯერსი	12	24	33,3
ცენტრალური			
კლივლენდი	22	13	62,9
დეტროიტი	22	14	61,1
ინდიანა	18	16	52,9
ჩიკაგო	16	18	47,1
მილუოკი	12	23	34,3
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
მაიამი	28	11	71,8
ვაშინგტონი	22	13	56,9
ორლანდო	19	16	54,3
შარლოტი	8	25	24,2
ატლანტა	7	27	20,6

დასავლეთი

სამხრეთ-დასავლეთი			
სან ანტონიო	30	9	76,9
დალასი	23	12	65,7
ჰიუსტონი	20	17	54,1
მემფისი	20	18	52,6
ნიუ ორლეანი	5	31	13,9
ჩრდილო-დასავლეთი			
სიეტლი	26	9	74,3
მინესოტა	19	17	52,8
პორტლენდი	15	21	41,7
დენვერი	15	21	41,7
იუტა	13	26	33,3
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	31	7	81,6
საკრამენტო	24	11	68,6
ლოსანჯელესი	20	15	57,1
კლიპერსი	18	18	50,0
გოლდენ სტეიტი	11	27	28,9

ვეიკ ან ზეეს სუპერტურნირი

ჰოლანდია. 14-30 იანვარი

ტური

ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) — ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5
ნაიჯელ შორტი (ინგლისი) — მაიკლ ადამსი (ინგლისი) 0,5:0,5
ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) — ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) 0,5:0,5
ლაზარო ბრუზონი (კუბა) — ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) 0,5:0,5
იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) — პეტრ სვიდლერი (რუსეთი) 1:0
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — რუსლან პანომარიოვი (უკრაინა) 1:0
ივან სოკოლოვი (ჰოლანდია) — პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0,5:0,5



ქალიც ეს ყოფილა
პოლგარს მსრეგზე კაცის თავი ადგას

თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ დიდ ჭადრაკს დაუბრუნდა უნგრელი დიდოსტატი იუდიტ პოლგარი და სუპერტურნირზე პირველი გამარჯვებაც გამოჭედა.

სუპერტურნირის ერთადერთმა მანდილოსანმა რუს პეტერ სვიდლერთან პარტია კლასიკური e4-ით დაიწყო, მეხუთე სვლაზე როჩი გააკეთა და საკუთარი ფლანგების გამაგრებას შეუდგა. სვიდლერი კი თავიდანვე შეტევაზე დაიგეშა, მადიარი მანდილოსნის ფლანგებს ერთიორჯერ ვერაგულად დაარტყა და მე-13 სვლაზე ცენტრსაც დაეპატრონა. რუსი პოზიციების განმტკიცებას შეუდგა, ცენტრში გამაგრებულ ფიგურებს ლაზიერიც მიაშველა და წინ გაიჭრა, თუმც სიჩქარეში რაღაც სწორად ვერ გათვალა და რამდენიმე სვლაში იძულებული გახდა, უკან გამობუნძულებულიყო. მოგერიებული შეტევის შემდეგ უპირატესობას თეთრები დაეუფლნენ, 21-ე სვლისთვის ახლა მათ წამოიწყეს იერიში, შავების მოშიშვლებულ დაცვას ოღლად გაუმკლავდნენ და რამდენიმე სვლაში გამარჯვების ალამიც აღმართეს.

პირველივე ღღეს ყველაზე ადრე პარტია რუსეთის ვიცე-ჩემპიონმა ალექსანდრ გრიშჩუკმა და ინდუსმა ვიშვანათან ანანდმა დაასრულეს. თამაში აზიელის უპირატესობით წარიმართა და მე-20 სვლაზე მას უკვე ორი გამსვლელი პიეიც ჰყავდა, თუმც მუდამ წინდახედულმა ინდუსმა არ იჩქარა და თამაში ცოტა მოადუნა. ამ პერიოდში დაფასთან უსაქმოდ არც გრიშჩუკი იჯდა და ლაზიერის ფლანგიდან იერიშისთვის საკუთარი ფიგურები შეამზადა. მაგრამ, როგორც ჩანს, პირველ ღღეს დიდოსტატები დიდ სისხლისღვრას მოერიდნენ და 22-ე სვლაზე მეგობრულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი.

მოულოდნელ იყო ბრუზონისა და კრამნიკის ზავი. რუსი, რომელიც კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონია და ფიდე-ს რეიტინგში 22 წლის კუბელზე 43 საფეხურით წინ არის, ვერაფრით გამოირჩა და პარტია 26-ე სვლაზე დასრულა.

ლაშა გეგეჭკორი

ხვალ ახალი პრეზიდენტი გვეყოლება

ქართულ ხელბურთს ხვალიდან ახალი ხელმძღვანელი ეყოლება. წესდებით ნებადართული საპრეზიდენტო ორი ვადის **გასრულების** შემდეგ ბატონი თენგიზ გაზდელიანი უფლებამოსილ**ებას იხსნის**.

ხვალ სპორტის დეპარტამენტის სააქტო დარბაზში **საქართველოს** ხელბურთის ეროვნული ასოციაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გაიმართება და ახალ პრეზიდენტსაც აირჩევენ.

კანდიდატები ოთხნი არიან და სასიამოვნოა, რომ ოთხივე ხელბურთელია: პირველთაობელი, საბჭოთა კავშირის 1964 **წლის ჩემპიონი** ჯანო ბაგრატიონი, ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **მამუკა** სხიერელი, ეროვნული ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ კაკაბაძე და 1990-იან წლებში საქართველოს **არაერთგზის ჩემ**პიონი ბიძინა მინდელი.

ყრილობა პირველ საათზე გაიხსნება და ალბათ **შეჯინდებამდე** ახალ მეთაურსაც აირჩევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბურაბ ფარულავა/ სპორტული ფოტოები

გურამ საღარაძე ჯერ თოვლის ბაბუად გარდაისახა და საჩუქრები ჩამოარიგა, შემდეგ კი თამადობაც იტვირთა

სიტყვა და ზეიმი

საქართველოს ჭიდაობის ფედერაციამ სეზონი დიდი ზარ-ზეიმით გახსნა. 2005 წლის სპორტული კალენდარისა და სამუშაო პროგრამის გასაცნობად ჟურნალისტებსა და ჭიდაობაში მოტრიალე ხალხს რესტორან „ოლიმპში" უხმეს. პრეზენტაცია თოვლის ბაბუის ფორმიანმა ვეტერანმა მოჭიდავემ გურამ საღარაძემ გახსნა, დარბაზში ფედერაციის პრეზიდენტ ბაკურ ყოფოტაძესთან ერთად დიდი გუდით შემოაბიჯა და საჩუქრების დარიგება დაიწყო.

2005 წლის ბოლომდე ვეტერან და მოქმედ სპორტსმენებს, ასევე საჭიდაო წარმატებებში წვლილის შემტან ხალხს (სულ 85 კაცს), ფედერაციის ინიციატივითა და სახალხო ბანკის დახმარებით ყოველთვიური ასლარიანი ხელფასი დაენიშნება. თხუთმეტის ვინაობა პრეზენტაციის დღესვე გაცხადდა.

დასაჩუქრების ცერემონიალის დასრულების შემდეგ საღარაძემ თოვლის ბაბუის ფორმა ღვინით სავსე ჭიქაში გაცვალა და სუფრა თამადობით ჩაამთავრა. მოჭიდავეთა გვერდით „საჭიდაო საღამოზე" სხვა ფედერაციათა პირველკაცები, ქართული სპორტის ხელმძღვანელები და სპონსორებიც იყვნენ. ბიზნესმენების გარანტიით შეგულიანებულმა მოჭიდავეებმაც თერთმეტი მუხლისგან შემდგარი 2005 წლის ერთობლივი პროგრამა გაგვაცნეს.

სპორტის ამ სახეობაში მოტრიალე ხალხის ყოველთვიური დახმარებების გარდა პროგრამაში მსაჯთა და მწვრთნელთა სემინარების თუ მივლინებების დაფინანსება და ნაკრები გუნდების დამატებით საერთაშორისო ტურნირებზე გამგზავრების ფინანსური უზრუნველყოფაც შედის. რეკონსტრუქცია ჩაუტარდება და სპორტული და საოფისე ინვენტარით აღიჭურვება „ფალავანთა კლუბი". გეგმაშია ავტობუსის შეძენაც. საჭიდაო ატრიბუტიკით წახალისდებიან საქართველოს მასშტაბით პერსპექტიული მოჭიდავეები. გარდა ამისა, ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას ობოლ და მზრუნველობას მოკლებული ერთ-ერთი ბავშვთა სახლის ყოველთვიური ჰუმანიტარული დახმარებაც გადაუწყვეტია. თან ბავშვების ჭიდაობით დაინტერესებასაც აპირებს და საწვრთნელი მეცადინეობების ჩასატარებლად ტიტულიანი მოქმედი მოჭიდავეებიც დაუთანხმებია.

უყურადღებოდ არც ჟურნალისტებს დაგტოვებთო, დაგვპირდნენ და სიურპრიზიც იქვე გაგვიმხილეს. წლის ბოლოს ფედერაცია სამი საუკეთესო სტატიისა და რეპორტაჟის ავტორებს დაასახელებს და ოთხ ვეტერან სპორტულ ჟურნალისტთან და ფოტოკორესპონდენტთან ერთად დააჯილდოვებს, ხოლო 2005-2008 წლებში ჭიდაობის თემაზე მომუშავე საუკეთესო ჟურნალისტი სუპერპრიზით — ავტომობილით დაჯილდოვდება.

პროგრამის რეალიზებაზე მუშაობა უკვე დაწყებულია, ხოლო უშუალოდ საჭიდაო სეზონი თებერვლის პირველი რიცხვებიდან იხსნება. 1-2 თებერვალს დიღმის საჭიდაო დარბაზში ბერძენ-რომაელთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. 3-4-ში კი ხალიჩაზე თავისუფლები გავლენ.

ოთარ მაღლაკელიძე

ცოტა რამ ჩოქბჯენის შესახებ

ჭაბუკები ბაქოდან დოვლათიანად დაბრუნდნენ

საჭიდაო ყულაბაში პირველი მედლები თავისუფლად მოჭიდავე ჭაბუკებმა ჩააჩხრიალეს. თამაზ ბენდიანიშვილი 14-15 იანვრის ბაქოს საერთაშორისო ტურნირს თერთმეტი კაცით ესტუმრა და შინ შვიდი მედლით დაბრუნდა. აქედან ოთხი ოქროა. ჩემპიონები გახდნენ ქუთაისელი მურთაზ კვესაძე (58 კგ), გორელი ზაალ მარტიაშვილი (100 კგ) და თბილისელები — თორნიკე სვანიძე (76 კგ) და დავით მოძმანაშვილი (85 კგ). ამ უკანასკნელმა ფინალში დაჯი ქერაშვილს აჯობა. 69 კილოგრამში მოჭიდავე გოჩა ლომთათიძემ და თორნიკე კიკაბიძემ კი ბრინჯაოს მედლები აიღეს. საქართველოს ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაშიც იპირველა — უკან აზერბაიჯანი და ირანი მოიტოვა. ნაკრების თავკაცს თბილისში დაბრუნებისთანავე შევეხმიანეთ. მგზავრობით გადაღლილი კი იყო, მაგრამ მცირე ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა

— გუნდური ჩემპიონები გავხდით და შეხვედით რაღა, თქმა უნდა, კმაყოფილი დავრჩი. ბიჭებმა მშვენივრად იჭიდავეს.

— ტურნირის დონეს როგორ შეაფასებდით?

— აზერბაიჯანის, ირანის, რუსეთის, უზბეკეთისა და ყაზახეთის ნაკრებები უძლიერესი შემადგენლობებით გამოვიდნენ. მშვენიერი ბრძოლები გაიმართა, მაგრამ ძალიან დავიღალეთ. ათ წონაში დაახლოებით 380-მა სპორტსმენმა მოიყარა თავი და ორივე დღეს გვიან ღამემდე გაგრძელდა ჭიდაობები. ამას არ ველოდით, 15-ში საღამოს უკან გამოძგზავრება გვქონდა დაგეგმილი.

ორგანიზატორებმა ეს რომ შეიტყვეს, ჩვენი ფინალური შეხვედრები წინ გადმოსწიეს და დროში ჩაგვატიეს, მაგრამ გუნდურის ჩათვლის ბედი ჯერაც არ გადაწყვეტილიყო.

— გუნდური ჩემპიონობა გზაში შეიტყვეთ?

— არა, მცირე ყოყმანის შემდეგ ეს საქმეც დროზე მოაგვარეს. მასპინძლებს ორი კაცი ჰყავდათ ფინალში დაგულებული და თუ ორივე იმარჯვებდა, გუნდურ პირველობას გვართმევდნენ. ჯერ გვითხრეს, დელეგაციიდან ერთი კაცი დატოვეთ და კუთვნილი მედლებიც მოგვიანებით მან აიღოსო, თუმც მერე გადაიფიქრეს და ის ორი ფინალიც ნაადრევად ჩაატარეს. ორივე მასპინძელმა წააგო.

— ბაქოური ტურნირი პირველი საერთაშორისო იყო, რომელიც ახალი წესებით ჩატარდა. სანახაობრივი მხარის გაზრდის თაობაზე თუ მართლდება მოლოდინი?

— ერთი ტურნირით მსჯელობა ცოტა რთულია, მაგრამ თავისი პლუს-მინუსები ამ ახალ წესებსაც რომ ექნება, თქმაც არ უნდა. ყველაზე კარგი სიახლე დამამშვიდებელი ეტაპის შემოღებაა. უიღბლო კენჭისყრით დაჩაგრულ ძლიერ სპორტსმენს თავის გამოჩენის შანსი კიდევ რჩება. ჩოქბჯენის გაუქმება კი ალბათ სანახაობრივ მხარეზე მაინც უარყოფითად იმოქმედებს, აი რატომ: ადრე თუ მოსაგებად სამი ქულის აღება იყო აუცილებელი, ახლა ერთიც კმარა. მოჭიდავე ერთ ქულას იღებს და მერე ყველანაირად ცდილობს, მოწინააღმდეგეს გაექცეს. არ ჭიდაობს და მსაჯისაც აღარ ეშინია, იცის, პასიურობისთვის ჩოქბჯენით აღარ დაისჯება.

— ახალ წესებს რაიმე გაუგებრობაც ხომ არ მოჰყოლია?

— მსაჯებისადმი არანაირი პრეტენზია არ გვქონია. არა იმიტომ, რომ მოვიგეთ. უბრალოდ, ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული, თუმც რამდენიმე მინუსი აშკარად გამოჩნდა. ეს უფრო გაურკვევლობის ბრალი იყო. ამ დღეებში მსაჯთა ფილა სემინარს ატარებს და ყველა წესიც საბოლოოდ დამტკიცდება.

— რომელიმე ჩვენს ბრინჯაოსანს ახალი წესით ხომ არ მიულწევია მედლამდე?

— სააზერბაიჯანე შემადგენლობაში ბოლო წუთს შეყვანილმა თორნიკე კიკაბიძემ სწორედ დამამშვიდებელი ეტაპის წარმატებით გავლის შედეგად აიღო მედალი.

— წლეულს მთავარი ტურნირი ივლისში გასამართი ევროპის ჩემპიონატია. ბაქოს ტურნირის შემდეგ საევროპო გუნდი საბოლოოდ ხომ არ დაკომპლექტდა?

— ზუსტ შემადგენლობას ჯერ ვერ დავასახელებ. ეს ისეთი ასაკია, წონებს თვიდან თვემდე იცვლიან. გარდა ამისა, ევროპის ჩემპიონატამდე რამდენიმე მნიშვნელოვანი ტურნირი გველის და საბოლოო პასუხიც მათი ჩატარების შემდეგ მეცოდინება.

ოთარ მაღლაკელიძე

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხოფერია, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, ოენგიზ ფოფეხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge